პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 177 (9337)

კვირა 27 ივლისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

**დღეს იხსნება ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი—კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშო.**

**ვოლგა-დონის არხის შექმნა ლენინ-სტალინის დიდი იდეებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებაა!**

## კომუნიზმის დიადი ნაგებობა

დღეს იხსნება ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის ხანაოსნო არხი—კომუნიზმის დიადი ნაგებობა.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აგება, რაც მოკლე დროის განმავლობაში განხორციელდა, საბჭოთა ხალხის დიდი ისტორიული გამარჯვებაა და წარმოადგენს ჩვენი ძალისა და ძლიერების ახალ ბრწყინვალე დადასტურებას.

საუკუნეებს მოჰყვებოდა ხალხის ოცნება ამ სანაოსნო მაგისტრალის შექმნაზე და მხოლოდ ჩვენს ნათელ დღეებში გახდა შესაძლებელი მისთვის ხორცის შესხმა.

ცნობამ ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აგებისა და მისთვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ საყოველთაო-სახალხო აღტაცება გამოიწვია. არხის მშენებელთა გამარჯვება მთელი ჩვენი ხალხის გამარჯვებაა, რადგან ეს უდიდესი სანაოსნო მაგისტრალი აგებულია სსრ კავშირის ყველა ხალხის უშუალო მონაწილეობით. ისე, როგორც კომუნიზმის სხვა დიადი მშენებლობანი, ვოლგა-დონის სანაოსნო არხიც წარმოადგენს საბჭოთა ხალხების ურღვევი სტალინური მეგობრობის უკვდავ ძეგლს, რადგან მასში ასახულია ამ ხალხების საერთო მისწრაფება, მძლავრი შრომითი შემართება, ურთიერთდახმარება და მტკიცე სიყვარული.

ვოლგა-დონის არხი, სხვა დიად მშენებლობათა მსგავსად, განასახიერებს ხალხთა ამ ურღვევი მეგობრობის შერწყმას ცხოველმყოფელ საბჭოთა პატრიოტიზმთან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფართოდ გაგებული ეროვნული სიამაყე.

უდიდესია ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოს მძლავრი სოციალისტური სახალხო მეურნეობისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. ამ სანაოსნო არტერიამ თეთრი, ბალტიისა და კასპიის ზღვები შეუერთა შავ ზღვასა და აზოვის ზღვას. ამრიგად, შეიქმნა ამ ზღვების ერთიანი სანაოსნო სისტემა, რომლითაც უკვე წარმოებს ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის მეტად საჭირო ტვირთების გადაზიდვა.

მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია იმ დიდი სარგებლობისა, რაც ვოლგა-დონის სისტემას მოაქვს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. მისი უდიდესი მნიშვნელობა აგრეთვე ის არის, რომ ციმლიანსკის ჰიდროკვანძი იაფი ელექტროენერგიით ამარაგებს მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და ქმნის მისი მომსახურების რაიონებში სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის ფართო ენერგეტიკულ ბაზას.

ვოლგა-დონის სისტემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე როსტოვისა და სტალინგრადის გვალვიანი და ნახევრადუდაბნო მიწების მორწყვისათვის, ამ რაიონებში სოფლის მეურნეობის მძლავრი განვითარებისათვის. როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ა. წ. 10 ივლისის დადგენილებაშია აღნიშნული, ციმლიანსკის ჰიდროკვანძის და მისი უდიდესი წყალსაცავისა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, აგრეთვე დონის მაგისტრალური არხის სათავო უბნის, ქვემო დონისა და აზოვის განმანაწილებელი არხების მშენებლობის განხორციელება უზრუნველყოფს მიმდინარე წელს როსტოვის ოლქში გვალვიანი მიწების პირველი რიგის—ასი ათასი ჰექტარის მორწყვას, ხოლო შემდგომ დაწესებულ ვადებში როსტოვისა და სტალინგრადის ოლქების კიდევ 650 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვას და ორი მილიონი ჰექტარი მიწის წყალით უზრუნველყოფას.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებელთა შრომითი მამაცობა სამუდამოდ აღიბეჭდება ისტორიაში და თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც თავდადების, განსაკუთრებული ენთუზიაზმის, შრომითი აღტყინების დიადი მაგალითი.

სწორედ ასეთი შრომის შედეგია უდიდესი მოცულობისა და რთული ტექნიკის შემცველი ამ ნაგებობის ზღვრულად უმოკლეს ვადებში დამთავრება. 1949-1952 წლების მანძილზე მშენებლებმა შეძლეს აეგოთ 101 კილომეტრი სიგრძის სანაოსნო არხი 13 სანაოსნო რაბით, 3 სატუმბავი სადგურით, 13 კაშხალითა და ჯებირით, 7 წყალსაგდებითა და წყალჩასაშვებით და მრავალი სხვა რთული მოწყობილობით; ციმლიანსკის უდიდესი ჰიდროკვანძი; 27 კილომეტრი სიგრძის დონის მაგისტრალური სარწყავი არხი; 72,9 კილომეტრი სიგრძის ქვემო დონის განმანაწილებელი არხი; 92,2 კილომეტრი სიგრძის აზოვის განმანაწილებელი არხი; 174 კილომეტრი საერთო სიგრძის ახალი სარკინიგზო ხაზები.

მხოლოდ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც შეიარაღებული არიან მოწინავე მეცნიერული ცოდნით და მძლავრი მშობლიური ტექნიკით, შეუძლიათ გადაჭრან ასეთი რთული მეცნიერული და ტექნიკური პრობლემები.

ვოლგა-დონის მშენებლობა წარმოადგენდა ჩვენი ახალი კადრების აღზრდისა და გამოწრთობის შესანიშნავ სკოლას. მშენებლობის პროცესში, სამშობლოსათვის თავდადებული შრომის პირობებში აქ აღიზარდნენ ათასობით და ათასობით ახალი კადრები, რომლებიც ზედმიწევნით დაეუფლნენ მეექსკავატორეთა, მესკრეპერეთა, ჰიდრო-მექანიზატორთა, მეამწეთა, მემონტაჟეთა, მებეტონეთა, მეარმატურეთა და სხვ. რთულ და პატივსაცემ პროფესიებს. შრომა ჩვენში წარმოადგენს როგორც საზოგადოების თვითეული წევრის აუცილებელსა და საპატიო მოვალეობას, მისი ღირსების საქმეს, ისე მისი განუხრელი ზრდისა და წინსვლის აუცილებელ სკოლას.

ვოლგა-დონის მშენებლებმა სანაოსნო არხის აგების პროცესში უდიდესი და უძვირფასესი გამოცდილება შეიძინეს. საქართველოს მშენებლებს, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკების მშრომელებს, ეს გამოცდილება ძვირფას დახმარებას გაუწევს ახალი შესანიშნავი გამარჯვებების მოპოვებაში.

დღეს მთელი ქართველი ხალხი, სხვა საბჭოთა ხალხებთან ერთად, გულმხურვალედ მიესალმება ვოლგა-დონის სახელოვან მშენებლებს და უსურვებს მათ ახალ, შემდგომს წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის ფრონტზე.

საბჭოთა ხალხის ახალი ისტორიული გამარჯვება—ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აგება და გახსნა — მშვიდობიანი შრომის გამარჯვებაა. იგი ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკისა, რომლის მიზანია უზრუნველყოს მსოფლიოს ხალხებისათვის მტკიცე მშვიდობა, ჩაშალოს ომის გამჩაღებელთა ყოველგვარი ხრიკები.

მშვიდობიან შრომაში, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ჩვენს ხალხს წინ მიუძღვის ბოლშევიკების პარტია, ბრძენი ბელადი — დიდი სტალინი, ვის სახელთანაც დაკავშირებულია ყველა ჩვენი გამარჯვება, ჩვენი ხალხების ბედნიერება. ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით საბჭოთა ადამიანები, რწმენით აღსავსენი, ახალ-ახალი გამარჯვებების გზით მიდიან წინ—კომუნიზმისაკენ. ვოლგა-დონის დიადი ნაგებობა ერთ-ერთი პირველი მერცხალია, რომელიც გვაუწყებს კომუნიზმის მოახლოებას.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა

**1952 წლის 27 ივლისი** **№ 89** **ქ. მოსკოვი**

ამხანაგო მფრინავებო და შტურმანებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, საჰაერო მსროლელებო და რადისტებო, ავიაციის მექანიკოსებო და მოტორისტებო, საავიაციო მრეწველობის მუშაკებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო! ამხანაგო ოფიცრებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა არმია მთელ ჩვენს ხალხთან ერთად დღესასწაულობს სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს.

მოგესალმებით და გილოცავთ საჰაერო ფლოტის დღეს.

ვუსურვებ სახელოვანი სტალინური ავიაციის პირად შემადგენლობას და საავიაციო მრეწველობის ყველა მუშაკს ახალ წარმატებებს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს საავიაციო ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 1952 წლის 27 ივლისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა საჰაერო ფლოტს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას—ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს ბრძენ ბელადს, დიდ მასწავლებელსა და გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!

**სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ვასილევსკი.**

## ს ა ბ ჭ ო თ ა პ ა ტ რ ი ო ტ ე ბ ი ს ს ი ა მ ა ყ ე

უდიდესი სიხარულით აღვსილია ამ დღეებში საბჭოთა ადამიანების გული. დამთავრდა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობა. კომუნიზმის პირველი ნაგებობის დამთავრება სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, წილად გვხვდა უდიდესი ბედნიერება ვცხოვრობდეთ და ვშრომობდეთ დიად სტალინურ ეპოქაში, როცა იქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმოებს ბუნების გარდაქმნა, შენდება გიგანტური ჰიდროელექტროსადგურები, გაჰყავთ ახალი სანაოსნო გზები. საბჭოთა ადამიანებს ამ დიად შემოქმედებით შრომაში აღაფრთოვანებს ამხანაგ სტალინის სახელი, შთააგონებს მისი წინასწარდასახულობანი.

მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად საქართველოს ათასობით მშრომელი მონაწილეობდა ვოლგა-დონის არხის აგებაში, ასრულებდა მის დაკვეთებს. ჩვენი რესპუბლიკის ათობით სამრეწველო საწარმომ მიაწოდა მშენებლებს ჩარხები, ლითონი, თვითსაცლელი ავტომანქანები, ტურბოტუმბოები, ზუსტი ხელსაწყოები, მარმარილო.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი უშუალოდ როდი მონაწილეობდა არხის შექმნაში, მაგრამ მოპოვებულ გამარჯვებაში მისი წვლილიც არის. სტახანოვური შრომით ჩვენ ვეხმარებით მშობლიური საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საქმეს.

ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის წარმატებით დამთავრება ჩვენთვის შრომითი შთაგონების წყაროა, ამრავლებს ჩვენს ძალებსა და ენერგიას. ჩვენ კიდევ უკეთ ვიმუშავებთ, კიდევ უფრო მეტ პროდუქციას მივცემთ ჩვენს ქვეყანას.

საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების აღნიშვნა სტახანოვური შრომით—აი რაზე ფიქრობს ამჟამად ყოველი მუშა. ვდგევარ რა სტახანოვურ ვახტზე ვოლგა-დონის არხის გახსნის აღსანიშნავად, მე ყოველდღე ორნახევარსამ ნორმას ვასრულებ. მნიშვნელოვანი გადამეტებით ასრულებს ცვლის დავალებას ბრიგადაც, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

კოლექტივი ჩვენი ქარხნისა, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს, მხურვალედ მიესალმება ვოლგა-დონის მშენებლობის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს. ყოველი საბჭოთა პატრიოტის გული აღვსილია სიამაყის გრძნობით საბჭოთა სამშობლოსათვის, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მიდის წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

**კ. ილურიძე,**

**სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.**

### თბომავალი „იოსებ სტალინი" სტალინგრადში ჩავიდა

**სტალინგრადი,** 25 ივლისი. (საქდესი). დღეს საღამოს სტალინგრადის ახალ სამდინარო ვაგზალს მოადგა მოსკოვიდან მოსული თბომავალი „იოსებ სტალინი".

ათასობით სტალინგრადელი მხურვალედ შეხვდა თბომავლის მგზავრებს. თბომავალმა 27 ივლისს რეგულარული სამგზავრო მიმოსვლა უნდა გახსნას ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხზე.

### შ ა ვ ი ზ ღ ვ ი დ ა ნ კ ა ს პ ი ი ს ზ ღ ვ ა შ ი

**ასტრახანი.** (საქდესი). გელენჯიკიდან აქ ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის არხით მოვიდა გემი „ტრუჟენიკი". მან მოიყვანა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიცია, რომელსაც პროფესორი ბ. ა. აპოლოვი მეთაურობს.

ექსპედიცია მიემართება კასპიის ზღვის ჰიდროლოგიური რეჟიმის შესასწავლად და მთელი რიგი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც დაკავშირებულია ჩრდილოეთ კასპიის ცვლილებებთან, რაც მოხდება სტალინგრადისა და კუიბიშევის ჰიდროკვანძების მშენებლობის დამთავრების შემდეგ.

„ტრუჟენიკი" პირველი გემია, რომელიც შავი ზღვიდან ვოლგა-დონის არხით მოვიდა კასპიის ზღვაში.

### სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისში

26 ივლისს, თბილისში ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო კრება პარტიულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ბუჯიაშვილი, ვ. მელქაძე, კ. ბუჯიაშვილი, გენერალ-მაიორი პ. ეფიმოვი, გ. ზედგინიძე, მ. მეგრელიშვილი, გ. ფირცხალავა, გ. ზამბახიძე, მ. მაღრაძე პ. გილაშვილი, გ. ჯიბლაძე და სხვები.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით.

მოსმენილ იქნა მოხსენება სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა სახელოვანი გზა განვლო საბჭოთა ავიაციამ, რა დამსახურება მიუძღვით გმირ სტალინურ შევარდნებს სოციალისტური სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის წინაშე.

მომხსენებელმა დღეგრძელობა უსურვა საბჭოთა საჰაერო ფლოტის შემქმნელს და მის გამარჯვებათა სულისჩამდგმელს — დიდ სტალინს, რასაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება დიდი სტალინისადმი. (საქდესი).



ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი. სურათზე: № 9 რაბის წარჩინებული მშენებლები.

ფოტო ს. კროპივნიცკისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

## საბჭოთა საჰაერო ფლოტის დღე

დღეს საბჭოთა ხალხი დღესასწაულობს ჩვენი ქვეყნის საჰაერო ფლოტის დღეს.

საბჭოთა ხალხს განუზომლად უყვარს თავისი საჰაერო ფლოტი, სტალინური შევარდნები, რომლებიც ფხიზლად იცავენ სოციალისტურ სამშობლოს, მის მშვენიერ აწმყოს, დიად მომავალს. ჩვენი ქვეყნის საჰაერო ფლოტის შექმნა, განვითარება, საბრძოლო გაწვრთნილობა განუყრელად არის დაკავშირებული დიდი ბელადისა და მხედართმთავრის, გენერალისიმუს სტალინის სახელთან, მის მშობლიურ ზრუნვასთან. ამიტომ უწოდებენ უდიდესი სიამაყით საბჭოთა ადამიანები თავიანთ ავიაციას სტალინურს.

ჩვენი ქვეყანა ავიაციის სამშობლოა. უცხოელ მეცნიერებზე დიდი ხნით ადრე დიდი რუსი ხალხის გამოჩენილმა შვილებმა გადაწყვიტეს თვითმფრინავების შექმნისა და მოტორთმშენებლობის ურთულესი საკითხები.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც მემამულე-კაპიტალისტთა უღელი დაამსხვრია და თავისუფლება და ბედნიერი ცხოვრება მოუტანა ჩვენს ხალხს, შექმნა შესანიშნავი პირობები საავიაციო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის. ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად საბჭოთა ხალხმა შექმნა მთელ მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ავიაცია, აღზარდა მფრინავთა შესანიშნავი კადრები. სტალინური შევარდნები, რომელთა ხელშიც არის ყველაზე სრულყოფილი საჰაერო ხომალდები, ფრინავენ ყველაზე მაღლა, ყველაზე შორს და ყველაზე სწრაფად.

საბჭოთა ავიაციისა და მისი მფრინავების ეს შესანიშნავი თვისებები, მათი უპირატესობანი საზღვარგარეთის ქვეყნების ავიაციისა და მფრინავთა წინაშე ნათლად გამოვლინდა დიდი სამამულო ომის დროს. საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალები, სახმელეთო ჯარებთან და სამხედრო-საზღვაო ფლოტთან მჭიდრო კავშირში, გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ მტერს და უზრუნველყოფდნენ ახალ და ახალ გამარჯვებებს. ათასობით სტალინურმა შევარდენმა გმირობის უჭკნობი შარავანდედით შეიმოსა სახელი. მათ მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს დიდი სამამულო ომის ისტორიაში. საბჭოთა ავიაციისა და მისი პირადი შემადგენლობის სწორუპოვარმა გმირობამ და სიმამაცემ შესანიშნავი შეფასება ჰპოვა დიდი სტალინის შემდეგ სიტყვებში:

«საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ჩვენმა ავიაციამ ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

ჩვენი სამშობლოს სახელოვანმა შევარდნებმა გააფთრებულ საჰაერო ბრძოლებში გაანადგურეს გერმანიის ნაქები ავიაცია, რითაც უზრუნველყვეს მოქმედების თავისუფლება წითელი არმიისათვის და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა იხსნეს ჰაერიდან მტრის მიერ დაბომბვისაგან.

მთელ წითელ არმიასთან ერთად ისინი გამანადგურებლად ურტყამდნენ მტერს და სპობდნენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ჩვენი მამაცი ავიაციის უნარიანი მოქმედება მუდამ უწყობდა ხელს სახმელეთო ჯარების წარმატებას და დაეხმარა მტრის საბოლოო განადგურების მიღწევას».

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის ყოველ დღესასწაულზე საბჭოთა ხალხი აჯამებს მის მიერ გაწეულ მუშაობას ავიაციის განვითარების საქმეში, ჩვენი გმირი მფრინავებისა და შტურმანების, ავიაციის ინჟინრებისა და ტექნიკოსების, საავიაციო მრეწველობის მუშაკთა მიღწევებს, უსახავს მათ ახალ საბრძოლო ამოცანებს სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

წელს სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები ხვდებიან ახალი უდიდესი წარმატებებით სტალინური ავიაციის განვითარებასა და მისი ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებაში.

საბჭოთა ხალხის, ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, თავისი დიდი მოამაგისა და ყველა გამარჯვებათა შთამაგონებლის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვროდ ერთგული ჩვენი სტალინური შევარდნები ყველა საბჭოთა მებრძოლთან ერთად ფხიზლად დგანან ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე და საიმედოდ იცავენ საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფო საზღვრებს. ჩვენი ქვეყნის საავიაციო მრეწველობის მუშაკები თავიანთ დღესასწაულს აღნიშნავენ ახალი მიღწევებით საავიაციო ტექნიკის განვითარებისა და ათვისების საქმეში.

საბჭოთა ადამიანები სტალინური ავიაციის ტრადიციულ დღეს აღნიშნავენ მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში, კომუნიზმის დიად მშენებლობათა ხარაჩოებზე, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის ვითარებაში. მაშინ როცა ამერიკელ-ინგლისელი აგრესორები ავიაციას იყენებენ მშვიდობისმოყვარე ხალხთა გასაჟლეტად, ქალაქებისა და სოფლების ასაოხრებლად, საბჭოთა ხალხი თავის ავიაციას ფართოდ იყენებს მშვიდობიანი მშენებლობისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანებისათვის.

თავისი სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვროდ ერთგული ჩვენი სახელოვანი შევარდნები მთელ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებთან ერთად ფხიზლად დგანან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე და გვიჩვენებენ ახალ წარმატებებს საავიაციო ტექნიკისა და საფრენოსნო ოსტატობის დაუფლებაში, დისციპლინის განმტკიცებასა და ავიაციის საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებაში.

საბჭოთა ხალხი, გამარჯვებული ხალხი, შემოქმედი ხალხი, კანონიერად ამაყობს თავისი ავიაციით.

გაუმარჯოს ძლევამოსილ სტალინურ ავიაციას!

დიდება ხალხთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, საბჭოთა ავიაციის შემქმნელს დიდ სტალინს!

### გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომის მდივანი ამხ. გელაშვილი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კორახაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 25 ივლისისათვის **101,2** პროცენტით შეასრულეს **1952** წლის მოსავლის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა, მათ შორის ხორბლისა — **112** პროცენტით.

გრძელდება პურის ჩაბარება მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით.

# ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის რუკა




მოქმედი არხები

დაპროექტებული არხები

ფართობები, რომლებიც 1952 წელს ირწყვება როსტოვის ოლქში

ფართობები, რომლებიც 1953-56 წლებში მოირწყვება როსტოვისა და სტალინგრადის ოლქებში

# ვოლგა-დონის დიდი სანაოსნო გზა

ვ. ზვონქოვი,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხი გაყვანილია და უკვე ამუშავდა. საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, სტალინის წინამძღოლობით შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა მშვიდობიანი შრომის ფრონტზე. ახალ სანაოსნო მაგისტრალს მიეკუთვნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უკვდავი სახელი.

კომუნიზმის დიადი მშენებლობანი დონზე, ვოლგაზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე, რაც უმაგალითო მოკლე ვადაში ხორციელდება მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების საფუძველზე, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გენიალური სტალინური გეგმის შემადგენელი ნაწილია.

განსაკუთრებით დიდია ახალ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სატრანსპორტო მნიშვნელობა. ეს განსაკუთრებით ეხება ვოლგა-დონის არხს.

ორი უდიდესი მდინარის შეერთების დიდი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ჯერ კიდევ ჩვენს შორეულ წინაპრებს. ვოლგა-დონი რუსი ხალხის რამდენიმე თაობის ოცნება იყო. გეოგრაფიული პირობების მიხედვით ასეთი შეერთების განხორციელება ყველაზე უფრო შეიძლებოდა ვოლგის მარჯვენა შენაკადის მდინარე კამიშინკისა და დონის მარცხენა შენაკადის მდინარე ილოვლის რაიონში, სადაც ძველთაგანვე დაახლოებით 5 კილომეტრ მანძილზე იყო ერთი შენაკადიდან მეორე შენაკადში ხმელეთით, სასრიალოებით მცირე გემების გადასატანად მოხერხებული უბანი.

ამ ადგილას XVII საუკუნის დამლევს პეტრე I ცდილობდა გაეთხარა არხი, მაგრამ ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია. არხის გათხრა მან მეორედ სცადა რამდენიმე წლის შემდეგ ვოლგისა და დონის სათავეთა რაიონში, მდინარეების ოკისა და უპის გაყოლებით. აქ შექმნილი სანაოსნო გზა მოუხერხებელი აღმოჩნდა.

შემდგომ საუკუნეებში შედგენილ იქნა ვოლგა-დონის შეერთების კიდევ მთელი რიგი პროექტები. მაგრამ კაპიტალისტური, ეკონომიურად და ტექნიკურად ჩამორჩენილი რუსეთის პირობებში, როცა სასტიკი კონკურენცია იყო კერძო მეწარმეთა შორის, რომელთა ნაწილი მატერიალურად დაინტერესებული იყო იაფი სანაოსნო გზის მშენებლობის შეფერხებით, ვოლგა-დონის მშენებლობა ვერ განხორციელდებოდა.

ეს მშენებლობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. უკვე 1918 წელს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ვოლგა-დონის არხი ის მძლავრი სატრანსპორტო ბერკეტი იქნებოდა, რომელიც რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ყველაზე ჩამორჩენილი ოლქების ეკონომიკაში გადატრიალებას მოახდენდა, და აყენებდა არხის მშენებლობისათვის მზადების საკითხს.

ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტეს ვოლგა-დონის პრობლემა განხორციელებინათ არა იზოლირებულად, არამედ მისი გადაწყვეტა დაუკავშირეს დიდ სახალხო-სამეურნეო ამოცანებს, რომლებიც ისახება ვოლგა-კამისა და დონის აუზების წყალთა უხვი რესურსების მთელი კომპლექსის გამოყენების დროს. კერძოდ, სანაოსნო არხთან ერთად აგებულია ციმლიანსკის ჰიდროკვანძი და 100 ათასი ჰექტარი გვალვიანი მიწის სარწყავი სისტემა როსტოვის ოლქში.

დონთან ვოლგის შეერთებამდე საჭირო იყო მისი რეკონსტრუქცია. ასე წარმოიშვა დიდი ვოლგის შექმნის სტალინური გეგმა.

დასახულ გრანდიოზულ ღონისძიებათა განხორციელება დაიწყო მეორე სტალინურ ხუთწლედში. უკვე 1937 წელს ამუშავდა სტალინური ეპოქის შესანიშნავი ნაგებობა — მოსკოვის სახელობის არხი. ამ დროისათვის შეიქმნა აგრეთვე ვოლგის კასკადის პირველი საფეხური — ივანკოვოს ჰიდროკვანძი და მოსკოვის ზღვა. ამ ნაგებობებმა უზრუნველყვეს ერთსა და იმავე დროს ჰიდროელექტროენერგიის მიღება, ვოლგის წყალით მოამარაგეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი, შექმნეს წყალღრმა შესასვლელი მოსკოვის სახელობის არხში და კეთილმოწყობილი სანაოსნო გზა ივანკოვოდან კალინინამდე და რამდენადმე უფრო ზემოთ.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხმა დაამთავრა ვოლგის კასკადის შემდეგი ორი საფეხურის — უგლიჩისა და შჩერბაკოვის ჰიდროკვანძების მშენებლობა. ამ კვანძების მაღალსაწნეო კაშხალებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს ზემო ვოლგის დონე და შექმნეს წყალღრმა მისასვლელები მოსკოვის სახელობის არხთან და მდინარე შექსნაზე.

ამ დიდ სამუშაოთა განხორციელების შემდეგ ვოლგა-დონის პრობლემას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. ახლა მას არა მარტო უნდა დაემთავრებინა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ხუთივე ზღვის შეერთება, არამედ დიდი ეფექტიც უნდა მოეცა ნაწილობრივ უკვე რეკონსტრუირებული წყალღრმა ვოლგის ბაზაზე.

სტალინგრადისა და კუიბიშევის ჰიდროკვანძების აშენების შემდეგ ვოლგა-დონის კომპლექსი, რომელიც შეიცავს მთელ რეკონსტრუირებულ ვოლგის გზას, ვოლგა-დონის არხს, ციმლიანსკის ზღვასა და ქვემო დონს, თითქმის მთლიანად დამთავრდება. ჩვენ ვამბობთ „თითქმის“, რადგან არსებობს ვოლგა-კამისა და დონის აუზების შემდგომი რეკონსტრუქციის გეგმა.

ვოლგისა და დონის კომპლექსურ წყალსამეურნეო გამოყენებაში მცირე მნიშვნელობა როდი ენიჭება ამ მდინარეთა დიდ შენაკადებს, პირველ რიგში კამას, ოკასა და ჩრდილოეთ დონეცს. ნაწილობრივ უკვე განხორციელებული (მოლოტოვის ჰიდროელექტროსადგური), აგრეთვე დაგეგმილი ჰიდრონაგებობანი მდინარე კამაზე ენერგიის უდიდესი წყაროები იქნება ურალისა და კამისპირეთის მზარდი მრეწველობისათვის. ისინი გააუმჯობესებენ კამაზე ნაოსნობის პირობებს.

დიდი ჰიდროკვანძების აშენება შესაძლებელია მდინარე ოკაზეც. ოკის სანაოსნო მაგისტრალი, რომელსაც აქვს შენაკადები—მდინარე მოსკოვი და კლიაზმა, კიდევ უფრო საიმედოდ დაუკავშირებს ვოლგისპირეთს, კამისპირეთსა და დონს ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ სამრეწველო რაიონებს.

რაბებიანი ჩრდილოეთი დონეცი გააადვილებს ვოლგისაკენ დონბასის დიდძალი ქვანახშირის, ხოლო უკან ვოლგის ხე-ტყის გადაზიდვას.

ვოლგა-დონის გზა ვ. ი. ლენინის სახელობის არხის მეოხებით დღესაც უერთდება აზოვისა და შავი ზღვების საშუალებით დნეპრის სისტემას. შავი ზღვის აუზთან ეკონომიურ კავშირში ექცევა ვოლგისა და ჩრდილოეთ-დასავლეთის აუზების 30 ათასამდე კილომეტრი სანაოსნო მდინარეები. ამას უნდა დაემატოს, რომ ვოლგა-დონის არხი საბჭოთა სანაოსნო სისტემას დაუკავშირებს სახალხო დემოკრატიის დუნაისპირა ქვეყნების გზებს, კერძოდ დუნაი-შავი ზღვის გამაპირდაპირებელ არხს, რომელიც ახლა რუმინეთში შენდება.

ახლო მომავალში ვოლგა-დონის გზა შუა აზიაშიც შევა კასპიის ზღვითა და თურქმენეთის მთავარი არხით.

ვოლგა-დონის პრობლემის გადაწყვეტა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის გამარჯვებაა, სოციალისტური ინდუსტრიის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი წარმატებაა. განხორციელდა ჭეშმარიტად შესანიშნავი შრომითი საგმირო საქმე. მოკლე ვადაში—სამნახევარ წელიწადში აშენდა ვოლგა-დონის სანაოსნო არხი, რომლის სიგრძე 101 კილომეტრს უდრის და რომელსაც აქვს 13 უნიკალური ავტომატიზებული რაბი, სამი მძლავრი სატუმბავი სადგური, 13 კაშხალი და ჯებირი, ნავმისადგომები, ხიდები, გზები და მრავალი სხვა ურთულესი ნაგებობა; აშენდა ციმლიანსკის ჰიდროკვანძი, რომელშიც შედის 160 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, თითქმის 13 კილომეტრი სიგრძის მიწის კაშხალი, ნახევარი კილომეტრი სიგრძის წყალსაშვები ბეტონის კაშხალი, ორი სანაოსნო რაბი, სანაოსნო არხი, მათ შორის, ავანპორტი და სხვ.; აშენდა დონის მაგისტრალური სარწყავი არხი, ქვემო დონისა და აზოვის განმანაწილებელი არხები 192 კილომეტრი საერთო სიგრძისა; ბოლოს — ახალი რკინიგზები სტალინგრადის რკინიგზის სადგურ მოროზოვსკაიადან ციმლიანსკის ჰიდროკვანძამდე და ამ კვანძიდან სადგურ კუბერლემდე 174 კილომეტრი საერთო სიგრძისა.

ახალი რკინიგზა დამატებით ქმნის მეტად მნიშვნელოვან მიმართულებას დონბასიდან ვოლგისაკენ და იქიდან დაბრუნებით ტვირთების გადასაზიდავად. ეს რკინიგზა ორნახევარჯერ ამოკლებს ძველ გზას და სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ცენტრალური ოლქებიდან მეორე გასასვლელია კავკასიაში, იგი გაივლის პროლეტარსკაიას, შემოუვლის ერთობ დატვირთულ როსტოვის მიმართულებას.

აქ უადგილო არ იქნება რამდენადმე გავითვალისწინოთ მომავალი, აღვნიშნოთ კომუნიზმის სხვა დიად მშენებლობათა ბაზაზე რკინიგზების განვითარების პერსპექტივები.

გათვალისწინებულია აგრეთვე რკინიგზა გაყვანილ იქნას სტალინგრადის კაშხალზე და შემდეგ რკინიგზით დაუკავშირდეს შუა აზია და ვოლგის მარცხენა ნაპირი სტალინგრადს, დონბასს, სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ცენტრალურ და სხვა რაიონებს.

კუიბიშევის კაშხალზე განხორციელდება სარკინიგზო მოძრაობა, რომლის მეოხებით არსებული კუიბიშევის გზა განიტვირთება სიზრანკინელის უბანზე. შემდგომ ეს გზა გააძლიერებს ქვემო ვოლგისპირეთის, დონბასისა და ჩრდილოეთ კავკასიის სარკინიგზო კავშირს სსრ კავშირის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებთან იმის შედეგად, რომ გაგრძელდება და გამოყენებულ იქნება რკინიგზისა და საავტომობილო ხაზები ვოლგის მარჯვენა და მარცხენა ნაპირების გაყოლებით.

კახოვკის კაშხალზე რკინიგზის ხაზი დასავლეთ და აღმოსავლეთ უკრაინას დაუკავშირებს აზოვისპირეთსა და ყირიმს.

წყალღრმა მაგისტრალებისა და წყალსაცავების ნაპირებზე შეიქმნება ახალი სატრანსპორტო კვანძები, რომ აღარ ჩავთვალოთ ციმლიანსკაიასა და კალაჩში უკვე შექმნილი კვანძები. სატრანსპორტო კვანძები შეიქმნება აგრეთვე კახოვკაში, ჩრდილოეთ დონეცის შესართავში („აღმოსავლეთის კარი“ დონბასში), დონის შესართავში, თურქმენეთის მთავარ არხზე.

დიდდება დიდი მდინარეების შესართავებში არსებული სატრანსპორტო კვანძების (ასტრახანი, დონის როსტოვი, ხერსონი) როლი. იქ განაწილდება ტვირთების ნაკადი მდინარეების, ზღვებისა და რკინიგზის მაგისტრალების შესაყარზე.

ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში 1946 წლის 9 თებერვალს ამომრჩეველთა წინაშე თქვა: „ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლოს ყოველწლიურად მოგვცეს 50 მილიონამდე ტონა თუჯი, 60 მილიონამდე ტონა ფოლადი, 500 მილიონამდე ტონა ქვანახშირი, 60 მილიონამდე ტონა ნავთი“.

სახალხო მეურნეობის ამ ძირითადი დარგების წარმოების ზრდის შესაბამისად ყველა სახეობის ტრანსპორტით გადაზიდვის მოცულობა უდიდეს ოდენობას მიაღწევს და მნიშვნელოვნად გაიზრდება ახლანდელ დონესთან შედარებით.

ბუნებრივია, რომ ტვირთბრუნვის განსაკუთრებით დიდი ზრდა მოხდება იმ რაიონებში, რომლებიც კომუნიზმის მშენებლობებს ემხრობიან. ცალკეული სახეობის სხვადასხვა ტრანსპორტს შორის ტვირთის რაციონალური განაწილება უზრუნველყოფს გადაზიდვის ტვირთღირებულების შემცირებას, უმთავრესად ვოლგის, დონისა და დნეპრის ახალი წყალღრმა გზების გამოყენებით შორ მანძილზე მასობრივი ტვირთის გადაზიდვის მიზნით. განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იქმნება ახალი სატრანზიტო სამგზავრო სანაოსნო ხაზების მოსაწყობად, მაგალითად, შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი—მოსკოვის სახელობის არხი—ვოლგა—ვოლგა-დონის არხი—დონი—კავკასიის სანაპირო და ყირიმი.

ვოლგა-დონის შეერთების მთელი კომპლექსის შექმნაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჩვენს საბჭოთა მეცნიერებას.

ვოლგა-დონზე შესრულებულია 152 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მიწის სამუშაო, 3 მილიონ კუბურ მეტრამდე რკინაბეტონისა და ბეტონის სამუშაო, დამონტაჟებულია 45 ათას ტონამდე ლითონკონსტრუქცია და მექანიზმები.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ არხისა და ციმლიანსკის ჰიდროკვანძის მშენებლობა განხორციელდა საბჭოთა კავშირში დამზადებული მძლავრი და მაღალი წარმადობის მანქანებისა და მექანიზმების გამოყენებით. მშენებლობის პროცესში გადაწყდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული და ტექნიკური პრობლემები.

მეცნიერების დიდი მიღწევა იყო რთულ გეოლოგიურ პირობებში დიდ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აშენების პრობლემის გადაწყვეტა. ჰიდროტექნიკის განვითარებაში შესანიშნავი წვლილი იყო მიწის კაშხალების ჩქაროსნული ამოვსების მეთოდი, რომელიც მსოფლიო პრაქტიკაში პირველად იქნა გამოყენებული ზამთრის პირობებში. საბჭოთა მეცნიერებმა და მშენებელმა ინჟინრებმა შეიმუშავეს გრუნტის წყალთა დაწევის ახალი ხერხები.

ვოლგა-დონის მშენებლებს დიდი დახმარება გაუწიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებმა, მრავალმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და უმაღლესმა სასწავლებელმა, აგრეთვე საკავშირო სამეცნიერო ინჟინერ-ტექნიკურმა საზოგადოებებმა. მუშაობის მსვლელობაში იზრდებოდა და მტკიცდებოდა მეცნიერთა და წარმოების ნოვატორთა თანამშრომლობა; რაც ხელს უწყობდა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ აღმავლობას.

ახლა ვოლგა-დონის არხის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით ჩვენი მეცნიერების წინაშე დასახულია ახალი სერიოზული ამოცანები. ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ და მეცნიერულად განვაზოგადოთ აქ მიღებული უმდიდრესი გამოცდილება, მშენებლობაზე მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გამოყენების შედეგები. უნდა დავამუშაოთ ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და მორწყვის მრავალი პრობლემა, რათა ყველაზე მეტ ეფექტიანობას მივაღწიოთ ახალ გიგანტურ ნაგებობათა ექსპლოატაციაში.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს აგრეთვე იმას, რომ გამოვავლინოთ სანაოსნო-სატრანსპორტო ერთიანი სისტემის შექმნის შემდგომი გეგმების განხორციელების საუკეთესო ხერხები და ამ სისტემაში მოვაქციოთ არა მარტო შუა აზიის, არამედ ციმბირის მდინარეებიც.

ჩვენს ქვეყანას აქვს მსოფლიოში ყველაზე დიდი შიდასანაოსნო გზების ქსელი. ამ ქსელის მდინარეთა სიგრძე დაახლოებით 2,5 მილიონი კილომეტრია. სსრ კავშირი ჰიდრორესურსებით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი სახელმწიფოა; იმ მდინარეთა პოტენციური სიმძლავრე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან ენერგეტიკის საჭიროებისათვის, 300 მილიონ კილოვატს შეადგენს, ესე იგი უდრის 150 ისეთი უდიდესი ელექტროსადგურის სიმძლავრეს, როგორიც კუიბიშევის სადგური იქნება. ვოლგა-დონის სანაოსნო არხისა და ყველა მის ნაგებობათა, აგრეთვე სარწყავი სისტემის მშენებლობისა და ექსპლოატაციის გამოცდილებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს გიგანტური ჰიდროკვანძების შექმნისა და ათვისების შემდგომი გრანდიოზული სამუშაოებისათვის.

ისტორიული გამარჯვება, რასაც წარმოადგენს ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აშენება, ყველა საბჭოთა ადამიანს აღაფრთოვანებს ახალი შრომითი გმირობისათვის, მატებს მათ ახალ შემოქმედებით ენერგიას, აღუძრავს კიდევ მეტი, კიდევ უკეთესი მუშაობის სურვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალიზმის ქვეყნის მძლავრი ავიაცია

★

პ. ჟიგარევი

ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი

★

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე საბჭოთა ადამიანების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ტრადიციული დღესასწაულია. პარტიისა და მთავრობის, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ყოველდღიური მზრუნველობით გარემოსილი საბჭოთა ავიაცია განუხრელად იზრდება და მტკიცდება. მის სულ უფრო მზარდ ძლიერებაში განსახიერებულია ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილება, სოციალისტური ინდუსტრიის უდიდესი აღმავლობა, მეცნიერებისა და ტექნიკის აყვავება.

დიდი შრომითი აღმავლობისა და მშვიდობის საქმისათვის აქტიური ბრძოლის ვითარებაში ეგებებიან სსრ კავშირის ხალხები საჰაერო ფლოტის დღეს. შესრულა რა ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა და 1951 წლის პროგრამა, ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის ახალ აღმავლობას. წარმატებით ხორციელდება კომუნისტური მშენებლობის დიადი სტალინური გეგმა. დიდი სტალინის წინასწარდასახულობით შენდება გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგურები, გიგანტური არხები, ხორციელდება ჩვენი ქვეყნის ბუნების გარდაქმნა, იქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

უდიდესი სიხარულისა და თავისი სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშოს — ვოლგა-დონის არხის გახსნის შესახებ და ბრძანებულებას არხისათვის დიდი ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ.

საბჭოთა კავშირის მაგალითით აღფრთოვანებულმა, მის უმდიდრეს გამოცდილებასა და უანგარო ძმურ დახმარებაზე დაყრდნობით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, ჩინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა თავიანთი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით მოკლე ისტორიულ ვადაში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, სოციალიზმის გზით მშვიდობიან განვითარებაში. ყოველივე ეს მოწმობს საბჭოთა სოციალისტური წყობილების განუზომელ უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

ცდილობენ რა იხსნან კაპიტალიზმის სისტემა, რომელიც გარდუვალი დაღუპვისათვის არის განწირული, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები ესწრაფვიან გააჩაღონ ომი საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და ჩინეთის წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმის საფარით ისინი უკვე ორი წელია ავაზაკურ ომს ეწევიან მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ და ხმარობენ ადამიანთა მასობრივი მოსპობის ისეთ ბარბაროსულ საშუალებებს, როგორიც არის ბაქტერიოლოგიური იარაღი.

თავისი სამშვიდობო პოლიტიკის ერთგული სსრ კავშირი დაუცხრომლად იბრძვის ახალი ომის თავიდან აცილებისათვის, სათავეში უდგას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მსოფლიო ბანაკს.

საბჭოთა ადამიანები შთაგონებულ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან და ამავე დროს ფხიზლად ადევნებენ თვალყურს იმპერიალისტ აგრესორთა ხრიკებს. მათ იციან, რომ სსრ კავშირის მძლავრი შეიარაღებული ძალები, მათ შორის სტალინური ავიაციაც, სოციალისტური სამშობლოს სადარაჯოზე დგანან და მშვიდობის დაცვის მძლავრ ფაქტორს წარმოადგენენ.

ჩვენს ხალხს კარგად ახსოვს ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ სანამ არსებობს იმპერიალიზმი და კაპიტალისტური გარემოცვა, — არსებობს ახალი ომის წარმოშობის საფრთხე და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხე და რომ, ამასთან დაკავშირებით, თოფისწამალი მშრალი უნდა გვქონდეს.

„რა თქმა უნდა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — აგრესორებს სურთ, რომ საბჭოთა კავშირი უიარაღო იყოს მათი თავდასხმის შემთხვევაში. მაგრამ საბჭოთა კავშირი ამის თანახმა როდია და ფიქრობს, რომ აგრესორს სავსებით მომზადებული უნდა დახვდეს".

პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი ყოველდღიურად ზრუნავენ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა არმიისა და მისი სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო ძლიერების გადიდებისათვის. სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე საბჭოთა ავიაციის წარმატებების საყოველთაო-სახალხო დათვალიერების დღეა, წარმატებებისა, რომლებიც მოპოვებულია ბოლშევიკების პარტიის, სსრ კავშირის მძლავრი საჰაერო ფლოტის შემქმნელისა და მისი კადრების აღმზრდელის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

* * *

ჩვენი ქვეყანა ავიაციისა და ჰაერნაოსნობის სამშობლოა. დიდმა რუსმა ხალხმა მსოფლიოს მისცა გამოჩენილი მეცნიერები და გამომგონებლები — მ. ვ. ლომონოსოვი, ა. ფ. მოჟაისკი, დ. ი. მენდელეევი, ნ. ე. ჟუკოვსკი, კ. ე. ციოლკოვსკი, ს. ა. ჩაპლიგინი, გ. ე. კოტელნიკოვი, პ. ნ. ნესტეროვი და სხვები, რომლებმაც მსოფლიოში პირველებმა შეიმუშავეს ავიაციის, რეაქტიული ტექნიკის, მძიმე თვითმფრინავმშენებლობის, პარაშუტიზმის, უმაღლესი პილოტაჟის თეორიის საფუძვლები. თავიანთი მეცნიერული შრომებით მათ მტკიცე საფუძვლები ჩაუყარეს თანამედროვე ავიაციის შემდგომ სწრაფ განვითარებას და დაამკვიდრეს ჩვენი უდავო პრიორიტეტი საავიაციო მეცნიერებისა და ტექნიკის შექმნაში.

რუსმა მეცნიერმა და გამომგონებელმა ა. ფ. მოჟაისკიმ 20 წლით ადრე, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ააგო მსოფლიოში პირველი თვითმფრინავი, რომელიც ჰაერში ავიდა. მოჟაისკის თვითმფრინავმა დასაბამი მისცა ავიაციის საუკუნეს.

გამოჩენილი რუსი მეცნიერი და გამომგონებელი კ. ე. ციოლკოვსკი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში აწარმოებდა თავის ცდებს აეროდინამიკის დარგში და ააგო მსოფლიოში პირველი აეროდინამიკური მილი. განსაკუთრებით გაითქვა სახელი კ. ე. ციოლკოვსკის გამოგონებებმა და თეორიულმა შრომებმა რაკეტული და რეაქტიული ტექნიკის დარგში. დიდი მეცნიერის აღმოჩენები საფუძვლად დაედო თანამედროვე რეაქტიულ თვითმფრინავებს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

„რუსული ავიაციის მამა" უწოდა ვ. ი. ლენინმა პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის, რომელმაც თავისი მრავალი მეცნიერული შრომით მტკიცე საფუძველი ჩაუყარა აეროდინამიკას და დაამუშავა თვითმფრინავთმშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ნ. ე. ჟუკოვსკი რუსეთისა და მსოფლიო საავიაციო მეცნიერების შემქმნელია.

პირველად რუსეთში აშენდა მძიმე მრავალმოტორიანი თვითმფრინავები, რომლებსაც შეეძლოთ გადაეტანათ ტონობით ტვირთი და გადაელახათ დიდი სივრცეები. ესენი იყო: „რუსკი ვიტიაზი", „ილია მურომეცი", „სვიატოგორი". ამით საფუძველი ჩაეყარა მძიმე თვითმფრინავმშენებლობას.

რუსეთის ავიაციის გარიჟრაჟზე გამოჩნდნენ შესანიშნავი მფრინავებიც, მათ შორის უმაღლესი პილოტაჟის ფუძემდებელი პ. ნ. ნესტეროვი.

ჩვენმა თანამემამულემ გ. ე. კოტელნიკოვმა გამოიგონა საავიაციო ჩანთიანი პარაშუტი. ეს პარაშუტი უზრუნველყოფს ფრენის უსაფრთხოებას.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენს ხალხს შეუქმნა შესაძლებლობა განეხორციელებინა შემოქმედებითი შემართებანი საბჭოთა პირველხარისხოვანი ავიაციის შექმნაში.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ინიციატივით მთავრობამ მიიღო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი, რომლებმაც უზრუნველყო ავიაციის სწრაფი განვითარება. შეიქმნა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, საკონსტრუქტორო ბიუროები, მოეწყო საავიაციო სკოლების ქსელი, მიღებულ იქნა ღონისძიებანი ავიაციის კადრების განსამტკიცებლად.

წლითიწლობით იზრდებოდა და მტკიცდებოდა ჩვენი ავიაცია. მისი აყვავება განუყრელად დაკავშირებულია დიდი სტალინური ხუთწლედების გეგმების განხორციელებასთან, როცა საბჭოთა კავშირი დიდი ინდუსტრიული და საკოლმეურნეო სახელმწიფო გახდა. მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია მტკიცე მატერიალური ბაზა გახდა პირველხარისხოვანი საბჭოთა თვითმფრინავთმშენებლობის განვითარებისათვის.

ამხანაგი სტალინი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის ორგანიზატორი და შემქმნელია, საავიაციო კადრების აღმზრდელია, საბჭოთა ავიაციის ბრწყინვალე გამარჯვებათა სულისჩამდგმელია. დიდი ბელადი პირადად ადევნებს თვალყურს საავიაციო მრეწველობის განვითარებას და მრავალფეროვანი საავიაციო ტექნიკის სრულყოფას, კონსტრუქტორთა და მფრინავ-ტექნიკოსთა კადრების ზრდასა და აღზრდას. შეიძლება ითქვას, რომ არ არის არც ერთი თვითმფრინავი და მოტორი, გამოსული საკონსტრუქტორო ბიუროებიდან, რომელიც ჯერ პროექტში, ხოლო შემდეგ ნატურაში არ განეხილოს და არ გაეკრიტიკებინოს ამხანაგ სტალინს. ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით ზრუნავს თვითმფრინავების საფრენოსნო-ტაქტიკური თვისებების გაუმჯობესებისათვის, თვითმფრინავზე მფრინავის მოხერხებული მუშაობისა და ფრენაში მისი უსაფრთხოებისათვის.

ჩვენი სამშობლოს ცაში ყოველწლიურად სულ უფრო მეტი რაოდენობით დაფრინავდნენ ახალი საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომელთა შექმნაზეც ნაყოფიერად მუშაობდნენ ამხანაგ სტალინის მიერ აღზრდილი ნიჭიერი საბჭოთა კონსტრუქტორები — ა. ნ. ტუპოლევი, ა. ი. მიქოიანი, ს. ვ. ილიუშინი, ა. ს. იაკოვლევი, ს. ა. ლავოჩკინი, ა. დ. შვეცოვი, ვ. ი. კლიმოვი, ა. ა. მიკულინი და სხვები.

ასრულებენ რა ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანას: იფრინონ ყველაზე შორს, ყველაზე სწრაფად და ყველაზე მაღლა, — ფრთოსანმა საბჭოთა დევგმირებმა ფრენის სიმაღლის, ტვირთამწეობისა და სიშორის მრავალი საერთაშორისო საავიაციო რეკორდი დაამყარეს, ხოლო ჩკალოვის, გრომოვის, გრიზოდუბოვას ეკიპაჟების ლეგენდარულმა გადაფრენებმა მთელ მსოფლიოში მოუხვეჭა სახელი ჩვენს სამშობლოს.

ჩვენი ავიაციის წარმატებითი საბრძოლო მოქმედება იაპონელი სამურაების წინააღმდეგ (1938-1939 წლებში) და თეთრფინელთა წინააღმდეგ (1940 წელს) თვალნათლივ მოწმობდა, რომ ბოლშევიკური პარტიისა და პირადად ამხანაგ სტალინის მუდმივი მზრუნველობის მეოხებით სსრ კავშირი ომამდელი ხუთწლედების მანძილზე მძლავრ საავიაციო სახელმწიფოდ გადაიქცა.

* * *

სტალინური ავიაციის ძლიერებამ განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი დიდი სამამულო ომის წლებში.

ომის დასაწყისშივე, როცა გერმანელ ფაშისტთა ურდოები, სარგებლობდნენ რა უეცარი თავდასხმით და დროებითი უპირატესობით ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ, ჩვენი ქვეყნის სიღრმეში იჭრებოდნენ, საბჭოთა არმია და მისი საჰაერო ძალები გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებში ანადგურებდნენ ჰიტლერული არმიისა და ავიაციის ძირითად ძალებს. დღისით და ღამით ჩვენი სახელოვანი მფრინავები სპობდნენ მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, ეხმარებოდნენ ჰაერიდან ჩვენი სახმელეთო ჯარების მოქმედებას და ეწეოდნენ განუწყვეტელ საჰაერო ბრძოლებს გერმანიის ავიაციის წინააღმდეგ. ომის მარტო პირველ ხუთ თვეში ჰაერში ჩამოგდებულ და აეროდრომებზე მოსპობილ იქნა მტრის 13.000 თვითმფრინავი. სამშობლო არ დაივიწყებს მფრინავების — საბჭოთა კავშირის გმირების — გასტელოს, სუპრუნის, ხარიტონოვის, ტალალიხინისა და სხვათა უკვდავ საგმირო საქმეებს.

უკვე 1941 წლის ნოემბერში საბჭოთა ავიაციამ მიიღო ამხანაგ სტალინის მაღალი შეფასება. „ჩვენი ავიაცია, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — ხარისხით გერმანიის ავიაციას სჯობს, ხოლო ჩვენმა სახელოვანმა მფრინავებმა უშიშარ მებრძოლთა სახელი მოიხვეჭეს".

1941 წელს მოსკოვთან ბრძოლებში საბჭოთა მფრინავებმა გააცამტვერეს ლეგენდა ნაქები ჰიტლერული ავიაციის უძლეველობის შესახებ, ხოლო სტალინგრადის დიდი ბრძოლის მსვლელობაში საბოლოოდ მოიპოვეს ბატონობა ჰაერში.

სტალინური შევარდნების ოსტატობა და უბადლო ხელოვნება მთელი სისრულით გამოვლინდა ბერლინისათვის ბრძოლებში. დღეღამის განმავლობაში მათ 15.000-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა მოახდინეს, გადაიხადეს დაახლოებით 1.000 საჰაერო ბრძოლა, რომლებშიც ჩამოაგდეს გერმანელთა 700 თვითმფრინავი. სულ ბერლინის ოპერაციებში მონაწილეობდა ჩვენი 8.400 თვითმფრინავი.

ისტორიის ამერიკელ-ინგლისელი ფალსიფიკატორები ცდილობენ ყოველნაირად შეამცირონ ჩვენი ავიაციის როლი ჰიტლერული ავიაციის განადგურებაში, ავრცელებენ ლეგენდას, რომ თითქოს არა საბჭოთა, არამედ მათმა ავიაციამ გაანადგურა გერმანელ ფაშისტთა საჰაერო ფლოტი. მაგრამ ამ თავხედურ მტკიცებას ადვილად უარყოფს ციფრები: ჰიტლერულმა გერმანიამ ომის უკანასკნელ სამ წელიწადში სულ ააგო 80.000 თვითმფრინავი, აქედან 75.000 მანქანა მოსპობილ იქნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. რაც შეეხება ამერიკა-ინგლისის ავიაციას, მისი როლი ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურებაში სულ უმნიშვნელოა.

დიდი სამამულო ომის წლებში სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალებმა საბჭოთა არმიის შემადგენლობაში სახელოვანი საბრძოლო გზა განვლეს. სახმელეთო და საზღვაო ძალებთან მჭიდრო თანამოქმედებით ავიაციამ დიდი როლი შეასრულა ჰიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე სსრ კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მოპოვებაში.

საბჭოთა ავიატორების საბრძოლო საქმიანობამ ამხანაგ სტალინის მაღალი შეფასება მიიღო. უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებაში, რომელიც მიძღვნილია ავიაციის დღის დღესასწაულისადმი 1945 წელს, აღნიშნულია:

„ჩვენი სამშობლოს სახელოვანმა შევარდნებმა გააფთრებულ საჰაერო ბრძოლებში გაანადგურეს გერმანიის ნაქები ავიაცია, რითაც უზრუნველყვეს მოქმედების თავისუფლება წითელი არმიისათვის და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა იხსნეს ჰაერიდან მტრის მიერ დაბომბვისაგან.

მთელ წითელ არმიასთან ერთად ისინი გამანადგურებლად ურტყამდნენ მტერს და სპობდნენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ჩვენი მამაცი ავიაციის უნარიანი მოქმედება მუდამ უწყობდა ხელს სახმელეთო ჯარების წარმატებას და დაეხმარა მტრის საბოლოო განადგურების მიღწევას".

სამშობლომ დამსახურებისამებრ დააჯილდოვა თავისი შევარდნები, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტები. 2.000-ზე მეტ მფრინავს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. 63 კაცმა ორჯერ მიიღო გმირის ვარსკვლავი, ორი სახელგანთქმული მფრინავი ა. ი. პოკრიშკინი, რომელმაც ჩამოაგდო გერმანელთა 59 თვითმფრინავი და ი. ნ. კოჟედუბი, რომელმაც ჩამოაგდო 62 თვითმფრინავი, სამჯერ იქნენ დაჯილდოებულნი გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მედლით.

დიდი სამამულო ომის ისტორიაში მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერა სამოქალაქო საჰაერო ფლოტმაც. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავებს ფრონტზე მიჰქონდათ ჭურვები და იარაღი, ზურგში გაჰყავდათ დაჭრილები, ამყარებდნენ კავშირს პარტიზანებთან, ამარაგებდნენ მათ ყველაფრით, რაც საჭირო იყო მტრის ზურგში წარმატებით მოქმედებისათვის.

მთელ თავიანთ გამარჯვებებს საბჭოთა ხალხი და არმია უნდა უმადლოდნენ დიდ ბელადსა და გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს.

„ეს ჩვენი ბედნიერება იყო, — ამბობდა ამხანაგი მოლოტოვი, — რომ ომის მძიმე წლებში წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს წინ მიუძღოდა საბჭოთა კავშირის ბრძენი და ნაცადი ბელადი დიდი სტალინი. გენერალისიმუს სტალინის სახელით ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და მსოფლიო ისტორიაში შევა ჩვენი არმიის სახელოვანი გამარჯვებანი".

ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა ძლევამოსილად დაამთავრეს ომი, სახელი მოუხვეჭეს ჩვენს ხალხს უკვდავი გმირობით. ომიდან საბჭოთა არმია გამოვიდა კიდევ უფრო გამოწრთობილი, განმტკიცებული, გამარჯვების სტალინური მეცნიერებით შეიარაღებული, რომელსაც უნარი შესწევს გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიოს ყველა იმპერიალისტ აგრესორს.

ომისშემდგომ წლებში ჩვენი ავიაცია განაგრძობს განვითარებასა და სრულყოფას. ამხანაგ სტალინის ზრუნვითა და ყურადღებით აღფრთოვანებულმა საბჭოთა საავიაციო კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა შექმნეს მსოფლიოში საუკეთესო მრავალმოტორიანი და რეაქტიული თვითმფრინავები.

საავიაციო ტექნიკის ზრდასთან ერთად უმჯობესდება სტალინური შევარდნების ოსტატობა. ისინი ჩინებულად დაეუფლნენ რთული მრავალმოტორიანი და რეაქტიული თვითმფრინავების მართვას, ბრწყინვალედ ახორციელებენ თანამედროვე თვითმფრინავებით ჯგუფურ უმაღლეს პილოტაჟს.

ომისშემდგომ წლებში წარმატებით ვითარდება სამოქალაქო საჰაერო ფლოტიც: განუწყვეტლივ იზრდება მისი თვითმფრინავთა პარკი, ფართოვდება ავიახაზების ქსელი, იზრდება კეთილმოწყობილი აეროპორტების რიცხვი. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი ახლა ავიახაზებით დაკავშირებულია არა მარტო ყველა მოკავშირე რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს ქალაქებთან, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველაზე შორეულ პუნქტებთანაც. საჰაერო ხაზების რაოდენობითა და სიგრძით, სახალხო მეურნეობაში ავიაციის გამოყენებით საბჭოთა კავშირს მსოფლიოში წამყვანი ადგილი უჭირავს.

სტალინური ავიაციისადმი საბჭოთა ხალხის სიყვარულის მკაფიო დემონსტრაციის წარმოადგენს მშრომელთა მასობრივი მონაწილეობა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაობაში. ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ეუფლება სხვადასხვა საავიაციო სპეციალობას: მფრინავის, პლანერისტის, პარაშუტისტის, პარაშუტის დამკეცავის და სხვა სპეციალობებს. საავიაციო სპორტი მასობრივი ხდება. გასულ წელს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ავიასპორტსმენებმა 6 საკავშირო და 5 მსოფლიო საავიაციო რეკორდი დაამყარეს.

უპასუხებენ რა ბოლშევიკების პარტიის, ამხანაგ სტალინისა და მთელი საბჭოთა ხალხის ზრუნვას ავიაციის აყვავებისათვის, ავიატორი მეომრები განუწყვეტლივ იმაღლებენ საბრძოლო მზადყოფნას, სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას, ამრავლებენ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანთა რიგებს, განამტკიცებენ სამხედრო დისციპლინასა და ორგანიზებულობას. ისინი მთელ თავიანთ ძალებსა და ენერგიას ახმარენ იმას, რომ შეასრულონ ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა არმიის წინაშე ამხანაგ სტალინის მიერ დასახული საპატიო და პასუხსაგები ამოცანა: „ფხიზლად დაიცავით საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული მშვიდობა და შემოქმედებითი შრომა, იყავით საბჭოთა კავშირის ინტერესების საიმედო დასაყრდენი".

სოციალისტური სამშობლოსადმი, ბოლშევიკების პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვროდ ერთგული საბჭოთა ავიატორები დგანან მშვიდობის საქმის სადარაჯოზე, ფხიზლად იცავენ კომუნიზმის მშენებლობის ქვეყანას. ისინი მუდამ მზად არიან შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და გამანადგურებელი დარტყმით უპასუხონ იმპერიალისტ აგრესორთა ყოველ ცდას — თავს დაესხან ჩვენს ქვეყანას.

# შეერთდნენ

○

ირაკლი აბაშიძე

○

შეერთდნენ ზღვები. მშვიდობის მცველად
ერთ დიდ ოჯახში შეერთდნენ ძმები;
კასპიის ტალღა თეთრ ზღვაში ღელავს,
შავ ზღვაში ისმის ბალტიის ხმები.

შეერთდნენ ზღვები; ოცნება ძველი
აღსრულდა, ახდა; სხვა დგანან დრონი,
ერთ ძმურ ოჯახში ხელს მისცეს ხელი,
ამღერდა ერთად ვოლგა და დონი.

ზეიმის ხმები, დიდების ხმები
ავსებენ უხვად ჩვენს გულს და გრძნობას...
შეერთდნენ ზღვები, შეერთდნენ ზღვები, —
დიდება ზღვათა სტალინურ ძმობას.

შენ საოცრების მხარე ხარ მართლაც,
სამშობლოვ! ზღაპრულ ძალის და ღონის,
მე ახალ ზღვასთან, თბილისის ზღვასთან
სიმღერა მესმის ვოლგის და დონის.

და მინდა ავცდე მშობლიურ ქედებს,
ანაზდად გავჩნდე ლენინის არხთან,
ვიხილო მოძმე რუსეთის მკერდზე
ზეიმი გმირთა, ზეიმი ხალხთა.

ზეიმი გმირულ სამშობლოს ერთა,
რომ უძლევ ძალთა დათრგუნვა შეძლეს,
ვინც ჰკვეთდა ერთად, ვინც ჰქმნიდა ერთად
სტალინურ დღეთა ხელთუქმნელ ძეგლებს.

მე მინდა გავჩნდე ლენინის არხთან,
ვუმღერო სტალინს, მშობლიურ კობას,
ვინც ძმობა შეკრა დიდებულ ხალხთა,
ვინც პირქუშ ზღვებსაც ასწავლა ძმობა.

შეერთდნენ ზღვები, მშვიდობის მცველად
ერთ დიდ ოჯახში შეერთდნენ ზღვები;
კასპიის ტალღა თეთრ ზღვაში ღელავს,
შავ ზღვაში ისმის ბალტიის ხმები.

# ვოლგადონელთა მაგალითისამებრ

ამ დღეებში სამგორელ მშენებელთა გულისყური მიპყრობილია ვოლგადონელი მშენებლებისაკენ. მათი მაგალითისამებრ, მათი გამარჯვებით აღფრთოვანებულნი ისინი ახლებურად აწყობენ თავიანთ მუშაობას, ეწაფებიან კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობათა ამ პირმშოს — ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებელთა სახელოვანი კოლექტივის გამოცდილების შესწავლას, მის გამოყენებას თავიანთ მუშაობაში.

სამუშაო კი წელს ბევრი აქვთ სამგორელებს.

თბილისის წყალსაცავის ირგვლივ მომკილი ყანებია. ბევრგან ძნები ზვინებად ჩანს და ეს მათ მოაგონებს, რომ საჭიროა წელს უკეთესად იმუშაონ, ვოლგადონელთა მაგალითისამებრ გაშალონ ფრონტი, რათა გაისად მარტო ამ მიდამოებში და კიდევ ორ-სამ სხვა ადგილას კი არა, სხვაგანაც, სამგორის დავალული ველის თვალგადასაწვდენზე სამკალი ყანები ოქროსფრად ალივლივდნენ. ასეთი დავალება მისცეს სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლებს საქართველოს ბოლშევიკებმა.

...წელს ძველებურად აღარ იგრძნობა წყალსაცავის მიდამოებში და მთელ ზემო სამგორში უდაბნოსებრი შეხუთულობა. მთავარი არხით ხალისიანად მოედინება გვალვის დამთრგუნველი ივრის წყალი და თან მოაქვს სიგრილე, გამოფიტული მიწისათვის სიცოცხლის მიმნიჭებელი ძალა. თვალდათვალ იზრდება და ფართოვდება წყალსაცავი, ზღვასავით ატოკებს ტალღებს და შეუნელებლივ მიიწევს თავისი სამხრეთი სანაპიროსაკენ. აქ უნდა შეასრულონ წელს მშენებლებმა მთელი რიგი მეტად პასუხსაგები სამუშაოები. აქ უნდა დაახვედრონ მათ მიახლოებულ ზღვის ტალღებს მოპირკეთებული კაშხალები, საექსპლოატაციოდ გამზადებული წყალმიმღები კვანძი თავისი წყალგამტართით, კოშკითა და სხვა დანიშნულების ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მთელი კომპლექსით. საგრძნობლად დიდი მოცულობის სამუშაოები აქვთ წელს აქ შესასრულებელი მშენებლებს. მშენებლებისაგან ახლა მეტს მოითხოვენ, რადგან მეტი გამოცდილებაც აქვთ, მეტსაც ეხმარებიან და ყველა პირობასაც უქმნიან წარმატებათა მოსაპოვებლად.

პარტიამ და მთავრობამ დაავალეს სამგორელ მშენებლებს — ამთავითვე შეუდგნენ საჭირო მუშაობას იმისათვის, რომ კოლმეურნეების მიერ ახლად ასათვისებელი ფართობები მომავალი გაზაფხულისათვის სარწყავი გახდეს. შემდგომი მორწყვის სეზონისათვის სარწყავი ქსელები ყველგან რომ იქნეს მზად, მშენებლები ამთავითვე იწყებენ მზადებას. წელს მათ დიდი გამოცდილება მიიღეს. ველად სარწყავი ქსელის მოწყობის სამუშაოთა შესრულება ბევრად ადვილი და ხელსაყრელია მოსავლის აღების შემდგომ თვეებში შემოდგომის ბოლომდე. ზამთარში და გაზაფხულზე, განსაკუთრებით ცუდ ამინდში წვრილი სარწყავი არხების გაყვანა დაკავშირებულია მრავალ უხერხულობასთან და დაბრკოლებასთან, რომელთა დაძლევა იწვევს მშენებლობის თვითღირებულების გადიდებას და სარწყავი ქსელის მოწყობის გაჭიანურებას.

მეორე დაკრიტით წესით შესასრულებელი ამოცანაც აქვთ წელს მშენებლებს: მომავალი წლის ბოლოსათვის უნდა დაამთავრონ სამგორის ველზე ახლად გაშენებული სოფლებისათვის საგრძნობლად მძლავრი წყალსადენის გამოყვანა მრავალი ათეული კილომეტრის მანძილიდან.

სამგორელ კოლმეურნეებს, რომელთათვისაც ახალი სოფლები შენდება უმთავრესად ქვემო მაგისტრალური არხის ზონაში, გარდა საუკეთესო მიწებისა, კეთილმოწყობილი საცხოვრებლებისა, საუკეთესო გზებისა, უნდა ექნეთ აგრეთვე ცივი წყაროს წყალი, რათა შადრევნებმა დაამშვენონ სასოფლო მოედნები, პარკები და კოლმეურნეთა ეზოები. ამ მძლავრი წყალსადენის გაყვანის სამუშაოთა შესრულება მინდობილი აქვს მეექვსე სამშენებლო კანტორის კოლექტივს, რომელსაც ინჟინერი კ. თულაშვილი ხელმძღვანელობს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ლილომარტყოფის არხის გასაყვან სამუშაოთა შესრულება. არხმა უნდა მორწყას ზემო სამგორის ის ფართობები, რომლებიც ზემო მაგისტრალური არხის მარჯვენა მხარეზეა. ამ ფართობთა მორწყვით დიდად დაინტერესებული არიან საცხენისელი, ახალსოფლელი, ნორიოელი, დიდლილოელი და მთელი რიგი სხვა სოფლების კოლმეურნეები. ამჟამად არხის გასაყვანი სამუშაოები გაშლილია 20 კილომეტრზე. სამუშაოთა შესრულება მინდობილი აქვს პირველი სამშენებლო კანტორის კოლექტივს, რომელსაც ინჟინერი ნ. გოჩიაშვილი ხელმძღვანელობს.

წელს სამგორელები შეუდგნენ თბილისელებისათვის საინტერესო ახალ სამუშაოს — ღრმაღელის არხის გაყვანას და ველკეთილისა და მახათას მთის პლატოს მოსარწყავად საჭირო სამუშაოთა შესრულებას. ველკეთილი ეწოდება იმ ადგილს, რომელიც მახათას მთის გადმოსწორებულ კალთას წარმოადგენს. ამ ველზე დიდი ფართობია გამოყოფილი ტყის გასაშენებლად. იქვე მდებარეობს, დაახლოებით ამ ნახევარი საუკუნის წინათ გაშენებული, მაგრამ მოურწყველობის შედეგად დაბეჩავებული, ე. წ. „ხუდადოვის ტყე". წყალსაცავიდან არხით წამოსული წყალი თვითდინებით მიაღწევს ღრმაღელის სატუმბავ სადგურს, საიდანაც განაწილდება ადგილობრივი ფართობების სარწყავ ქსელში. ამ სადგურიდან წყლის ნაწილი გადატუმბული იქნება 68 მეტრის სიმაღლეზე ველკეთილის სატუმბავ სადგურამდე. აქედან წყალი მორწყავს მთელ ქვემო ზონას კუკიის მიმართულებით, სადაც ნაწილობრივ დათესილი ან დარგულია სატყეო კულტურები. მეორე ნაწილი ამავე სადგურიდან გაიშვება მახათას პლატოზე როგორც ტყეების გასახარებლად, ისე ყანების მოსარწყავად.

ამის პარალელურად შეუნელებელი ტემპით უნდა გაგრძელდეს მუშაობა ქვემო მაგისტრალურ არხზე.

ასეთი დიდი ამოცანები დაუსახეს პარტიამ და მთავრობამ სამგორელ მშენებლებს მიმდინარე წლისთვის. მათი ღირსების საქმეა ვოლგადონელ მშენებელთა მაგალითისამებრ იმუშაონ, რათა წარმატებით შეასრულონ თავისი მოვალეობა.

... ახალი ძალითა და ენთუზიაზმით, ბოლშევიკური სიდინჯითა და წინდახედულობით შენდება სამგორი საქართველოს პურის ახალ ბეღლად და ღვინის ახალ მარნად. შენდება საგულდაგულოდ.

დ. ლომთაძე.

## საერთაშორისო ოლიმპიურ ასპარეზობაზე

### საბჭოთა სპორტსმენები პირველ ადგილზე არიან

**ჰელსინკი**, 25 ივლისი. (საკდესი). პირველი ხუთი დღის (20-24 ივლისი) შეჯიბრების შედეგად საბჭოთა სპორტსმენები ინარჩუნებენ პირველ ადგილს. მათ მოაგროვეს 285 ქულა, მოიპოვეს 29 ოქროს, 29 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი.

მეორე ადგილზე არიან ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები, რომლებმაც 175 ქულა მოაგროვეს. მათ მიიღეს 23 ოქროს, 9 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი.

უნგრელ სპორტსმენებს, რომლებმაც 87 ქულა მოაგროვეს, უკავიათ მესამე ადგილი. მათ მოიპოვეს 3 ოქროს, 9 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი.

* * *

**ჰელსინკი**, 25 ივლისი. (საკდესი). დღეს ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა დაბრკოლებიანი ფინალური გარბენა 3 ათას მეტრზე. გარბენაში მონაწილეობას იღებდნენ 8 ქვეყნის სპორტსმენები, მათ შორის კაზანცევი (სსრ კავშირი), სალტიკოვი (სსრ კავშირი), აშენფელტერი (ამერიკის შეერთებული შტატები), ჰესელმანი (დასავლეთი გერმანია), აპრო (უნგრეთი) და სხვ.

პირველი ორი წრის გარბენისას წინ მიდის სალტიკოვი. შემდეგ დაწინაურდნენ კაზანცევი და აშენფელტერი. აშენფელტერი რამდენადმე წინ არის, შემდეგ ორივე სპორტსმენი თითქმის მხარდამხარ მირბის. უკანასკნელი წრის მეორე ნახევარში კაზანცევი დაწინაურდა, მაგრამ სუფთად ვერ გადალახა წყლის დაბრკოლება და წინ გაუშვა ამერიკელი.

ფინიშთან პირველი მიდის აშენფელტერი, რომლის დროა 8 წუთი და 45,4 წამი, მეორე — კაზანცევი—8 წუთი 51,5 წამი, მესამე—დისლეი (ინგლისი)—8 წუთი 51,8 წამი.

კაზანცევმა მიიღო ვერცხლის მედალი.

დღეს დაიწყო ოლიმპიური შეჯიბრება წყალბურთში. უნგრეთის გუნდმა ანგარიშით 13:4 მოუგო მექსიკის გუნდს, ეგვიპტის გუნდმა — პორტუგალიას (10:0), დასავლეთ გერმანიამ — რუმინეთს (8:4), ბელგიამ—სამხრეთ აფრიკას (6:5), იუგოსლავიამ—ავსტრიას (10:2), იტალიამ—ინდოეთს (16:1).

დღესვე დაიწყო შეჯიბრება კალათბურთში. საბჭოთა კალათბურთელებმა, რომლებმაც ტექნიკური და სწრაფი თამაში უჩვენეს, ანგარიშით 74:46 მოუგეს ბულგარეთის გუნდს.

ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა მოუგო უნგრეთის გუნდს (66:48), არგენტინის გუნდმა—ფილიპინების გუნდს (85:69). მწვავე ბრძოლით ჩაიარა ჩეხოსლოვაკიისა და ურუგვაის კალათბურთელების შეხვედრამ. ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ მაინც წააგეს ანგარიშით 51:53.

კალათბურთსა და წყალბურთში შეჯიბრება გრძელდება.

* * *

**ჰელსინკი**, 25 ივლისი. (საკდესი). დღეს მესუჰალის მცირე დარბაზში დაიწყო შტანგისტების შეჯიბრება, რომელშიც მსოფლიოს უძლიერესი ძალოსნები მონაწილეობენ.

დღეს დღისით მიმდინარეობდა უმჩატესი წონის შტანგისტების შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: მსოფლიო რეკორდსმენი მახგუბი (ეგვიპტე), მსოფლიო რეკორდსმენი ნამჯუ (ირანი), ირანის ერთ-ერთი უძლიერესი შტანგისტი მირზაი, ინგლისის, იაპონიის, კანადის, საფრანგეთის, შვეციის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების შტანგისტები.

შეჯიბრება მოეწყო კლასიკური სამჭიდის პროგრამით.

შეჯიბრების პირველსავე სახეობაში—ორი ხელით აჭიმვაში — გამოირკვა მთავარი კონკურენტები ოლიმპიური ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლაში: უდოდოვი (სსრ კავშირი), ნამჯუ (ირანი), მირზაი (ირანი), მახგუბი (ეგვიპტე), ლანდერო (ფილიპინები).

აჭიმვაში უდოდოვმა ასწია 90 კილოგრამი, ნამჯუმ—95 კილოგრამი, ლანდერომ—87,5 კილოგრამი, მირზაიმ—92,5 კილოგრამი, მახგუბმა —85 კილოგრამი.

მაგრამ საბჭოთა შტანგისტს ფარხმალი არ დაუყრია იმის გამო, რომ მეორე ადგილზე აღმოჩნდა. შეჯიბრების შემდეგ სახეობაში—აგლეჯაში მან ადვილად ასწია 92,5 კილოგრამი. ნამჯუმ და მახგუბმა ასწიეს თვითეულმა 95 კილოგრამი.

უდოდოვი კვლავ მიდის შტანგთან. ამჯერად შტანგის წონა 97,5 კილოგრამია—ეს არის ნამჯუს მსოფლიო რეკორდის განმეორება. უდოდოვი ძლიერი აგლეჯით სწევს შტანგს. მაგრამ ერთ-ერთმა გვერდის მსაჯმა არ ჩაუთვალა შედეგი.

უდოდოვს ისღა რჩება, რომ უკანასკნელად მესამედ სცადოს. იგი დინჯად კიდებს ხელს წონადელი წონის 97,5 კილოგრამ შტანგს. ამჯერად თვით უაღრესად მიზეზიანმა მსაჯმაც ვერაფერი თქვა. აინთო მსაჯთა სამი თეთრი ელექტრონათურა, რითაც დადასტურდა მსოფლიო რეკორდის განმეორება.

სამჭიდის უკანასკნელი სახეობის—აკვრის წინ უდოდოვსა და მირზაის თანაბარი შედეგი აქვთ—187,5 კილოგრამი (შეჯიბრების ორი სახეობის ჯამი). მესამე ადგილზეა ნამჯუ—185 კილოგრამი.

აკვრაში უდოდოვმა უკვე მეორე ცდის დროს ასწია 127,5 კილოგრამი—ეს მხოლოდ 500 გრამით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდს, რომელიც ოდესღაც ნამჯუმ დაამყარა. მირზაიმ ასწია 117,5 კილოგრამი და ნამჯუმ—122,5 კილოგრამი.

უდოდოვმა გაიმარჯვა შეჯიბრებაში. კლასიკურ სამჭიდში მან აჩვენა 315 კილოგრამი, და ამრიგად 7,5 კილოგრამით გადააჭარბა წინანდელ ოლიმპიურ რეკორდს, რომელიც ამერიკელმა პეტრომ დაამყარა 1948 წელს.

მეორე ადგილზეა ნამჯუ—307,5 კილოგრამი, მესამეზე—მირზაი—300 კილოგრამი.

საღამოს გამარჯვებულებს ზეიმით გადასცეს ოლიმპიური მედლები. ოქროს მედალი მიიღო უდოდოვმა (სსრ კავშირი), ვერცხლისა—ნამჯუმ (ირანი), ბრინჯაოსი—მირზაიმ (ირანი). მაყურებლები მხურვალედ მიესალმებიან გამარჯვებულებს. ფლაგშტოკზე ფრიალებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალამი. ორკესტრი ასრულებს სსრ კავშირის ჰიმნს.

დღეს საღამოს დაიწყო მჩატე წონის შტანგისტების შეჯიბრება, რომელიც გვიან ღამე დამთავრდება.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში დღეს ახალი წარმატება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ნადეჟდა ხნიკინამ. მან გაიმარჯვა 200 მეტრზე ნახევრადფინალურ გარბენაში, რომელშიც იგი ეჯიბრებოდა კანადის, ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის განთქმულ სპორტსმენ ქალებს. მისი დროა 24,1 წამი.

ხნიკინაზე უფრო კარგად გაირბინა 200 მეტრი მხოლოდ ავსტრალიელმა ჯექსონმა, რომელმაც მეორე ჯგუფში მიიღო მონაწილეობა: მან დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი—23,4 წამი.

საბჭოთა წყალბურთელები დღეს შეხვდნენ ჰოლანდიის გუნდს, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია მსოფლიოში. ჰოლანდიელებმა მოიგეს ანგარიშით 3:2.

შვედმა წყალბურთელებმა ანგარიშით 5:1 მოუგეს ამერიკის შეერთებული შტატების წყალბურთელებს, ინგლისელებმა ანგარიშით 4:3 ავსტრიელებს და ესპანელებმა ანგარიშით 3:2 ბრაზილიელებს.

კალათბურთელთა შეჯიბრებაში მექსიკის გუნდმა მოუგო ფინეთის გუნდს (66:48) და საფრანგეთის გუნდმა ეგვიპტის გუნდს (92:64).

დამთავრდა პირადი და გუნდური პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში.

პირად პირველობაში ოქროს მედალი მოიპოვა ჰალმა (შვეცია)—32 ქულა, ვერცხლისა—ვენედეკმა (უნგრეთი) და ბრინჯაოსი სონდიმ (უნგრეთი).

თანამედროვე ხუთჭიდის გუნდურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა უნგრეთის გუნდმა (166 ქულა), მეორე—შვეციის გუნდმა და მესამე — ფინეთის გუნდმა.

გრძელდება შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. დღემდე საბჭოთა კავშირის მოჭიდავეებს არც ერთი დამარცხება არ ჰქონიათ.

ტერიანმა (სსრ კავშირი) 4 წუთისა და 35 წამის შემდეგ წააქცია ტობოლი (პოლონეთი), ბელოვმა (სსრ კავშირი) 2 წუთისა და 17 წამის შემდეგ დასცა პოლონელი მოჭიდავე გრიუტი, პუნკინმა (სსრ კავშირი) 11 წუთისა და 17 წამის შემდეგ წააქცია მერლე (საფრანგეთი), ჩიხლაძემ (სსრ კავშირი) 9 წუთისა და 22 წამის შემდეგ—ლაიხტერი (დასავლეთი გერმანია), გურევიჩმა (სსრ კავშირი) 4 წუთისა და 52 წამის შემდეგ—ტომსენი (დანია). კოტკასის (სსრ კავშირი) მოწინააღმდეგე ბაარენდი (ბელგია) არ გამოცხადდა შეჯიბრებაზე და დამარცხება ჩაეთვალა. გარდა ამისა, საბჭოთა მოჭიდავეებმა მთელი რიგი გამარჯვებანი მოიპოვეს ქულების მიხედვით.

## გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებებისადმი სოლიდარობა

### დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

**ბერლინი**, 24 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი" იუწყება, ა. წ. 22 ივლისს გაიმართა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დოქტორმა კორენსმა გააკეთა მოხსენება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ეროვნული ფრონტის ამოცანების შესახებ.

აღნიშნა რა ეროვნულ ფრონტში შემავალი ყველა პარტიისა და მასობრივი ორგანიზაციის სოლიდარობა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებებისადმი, დოქტორმა კორენსმა განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებათა პასუხად ეროვნულმა ფრონტმა უნდა გააძლიეროს ბრძოლა სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის ერთიანობისათვის, აგრეთვე უნდა გააფართოვდეს ბონელ რევანშისტთა და მათ მემარჯვენე სოციალისტ ხელშემწყობთა აგრესიული გამთიშველი პოლიტიკის მხილების კამპანია.

სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების დადებით, განაგრძო კორენსმა, ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ შექმნან ბაზა ახალი მსოფლიო ომის მომზადებისა და გაჩაღებისათვის. დასავლეთ გერმანიის ადამიანთა და მატერიალური რესურსები პირველ პლანზეა მათს პროვოკაციულ ხრიკებში. ამერიკელი იმპერიალისტები დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტებთან ხელიხელჩაკიდებული მოქმედებენ, ცდილობენ დაამყარონ ეროვნული დამონებისა და სოციალური ჩაგვრის რეჟიმი. ამიტომ ყველა გერმანელის ეროვნული ინტერესები მოითხოვს ბრძოლას ბონის ვასალური რეჟიმის დამხობისათვის, რაც წინასწარი პირობა იქნება გერმანიის ნამდვილი ერთიანობის მისაღწევად.

შეეხო რა შემდეგ ეროვნული ფრონტის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ მეორე პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის შესახებ, დოქტორმა კორენსმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოსახლეობაში გაფართოვდეს მასობრივ-ახსნაგანმარტებითი მუშაობა, განიმარტოს მოსახლეობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის როლი, როგორც მძლავრი ბასტიონისა მთელი გერმანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

მომხსენებელმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს გერმანელი ხალხის მეგობრობა საბჭოთა კავშირთან—მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯთან, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან.

დასასრულ დოქტორმა კორენსმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ლოზუნგით „წინ მშვიდობისმოყვარე, ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული გერმანიისათვის ბრძოლაში" დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტი შეასრულებს თავის პატრიოტულ მოვალეობას.

## ნორვეგიის ხელისუფლები ხელს უშლიან იმას, რომ ოსლოში გაიმართოს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სესია

**ოსლო**, 25 ივლისი. (საკდესი). დღეს ოსლოში უნდა გახსნილიყო დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სესია. მაგრამ, როგორც გამოირკვა, ნორვეგიის იუსტიციის სამინისტრომ შეაჩერა სესიის მთელ რიგ მონაწილეთათვის ვიზების მიცემა. ასინი იძულებული არიან კოპენჰაგენში დარჩნენ და ელოდონ შესვლის ნებართვის მიღებას.

ამ ფაქტმა ნორვეგიის საზოგადოებრიობის ძლიერი აღშფოთება გამოიწვია.

მაგრამ, საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად, იუსტიციის სამინისტროს პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა საექსპედიციო განყოფილების უფროსმა როგნლიენმა პრესაში განაცხადა: ჯერ კიდევ „ძნელია გარკვეული რამ ითქვას" შესასვლელი ვიზების გაცემის შესახებ. მისი სიტყვით, ვიზების გასაფორმებლად კიდევ ერთი კვირა იქნება საჭირო.

## ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის შედეგები და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ამოცანები

**ბუქარესტი**, 25 ივლისი. (საკდესი). ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომის მე-13 სესიამ მიიღო რეზოლუცია ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის შედეგებისა და ბავშვთა დაცვისათვის საქმიანობის გაძლიერების დარგში ფედერაციის ამოცანების შესახებ მოხსენების გამო.

რეზოლუციაში ნათქვამია:

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ ხანს გაძლიერდა ომის საფრთხე, რომელიც თავს დასტრიალებს ბავშვთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ფედერაცია მუდამ იმ აზრისა იყო, რომ ქალთა გაერთიანებულ მოქმედებას, როცა ისინი იბრძვიან ყველა იმ ადამიანთა მხარდამხარ, რომლებიც ბავშვთა ბედისათვის ზრუნავენ, შეუძლია მოზარდი თაობა იხსნას ომის საშინელებისაგან—იხსნას კაცობრიობის მომავალი.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენცია წარმოადგენს კეთილი ნების ადამიანთა თანამშრომლობის გამოხატულებას, რომლებსაც სურთ დაიცვან ბავშვთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და აღზრდის უფლება მშვიდობის შენარჩუნების პირობებში.

აღმასკომი აღნიშნავს, რომ ვენის საერთაშორისო კონფერენციამ თავისი წვლილი შეიტანა ბავშვთა დაცვის საქმეში, და მოუწოდებს თავის ეროვნულ ორგანიზაციებს ყოველი ღონე იხმარონ კონფერენციის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციისა და განხორციელებისათვის.

აღმასკომს მიაჩნია, რომ ბავშვთა დასაცავად საქმიანობის გაჩაღება ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, და ეროვნულ ორგანიზაციებს ურჩევს:

1) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ბავშვთა დაცვის არსებული ეროვნული კომიტეტების საქმიანობას და მათ შექმნას იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არ არიან შექმნილნი, მოაწყონ აგრეთვე ადგილობრივი კომიტეტები თვითეულ ქალაქში, თვითეულ სოფელში, თვითეულ უბანში, რათა ყველა ქვეყანაში გაჩაღდეს მძლავრი ეროვნული მოძრაობა ბავშვთა დასაცავად.

2) ხელი შეუწყონ იმას, რომ მოეწყოს ბავშვთა დაცვის ეროვნული და ადგილობრივი კონფერენციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ მოძრაობის განვითარებას.

3) აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბავშვთა დაცვის ეროვნული კომიტეტების მუშაობაში, მიაღწიონ იმას, რომ ყველა მათი წევრი მონაწილეობდეს ამ კომიტეტების პროგრამის შემუშავებასა და საქმიანობაში. გააფართოონ ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის ანკეტების შედგენა, გამოფენების მოწყობა, პრესაში გამოსვლებისა და კრებების მოწყობა. თვითეული პრობლემა, რომელიც ბავშვებს ეხება, განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს და თავისი გამოხატულება ჰპოვოს კონკრეტული ღონისძიებებით, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვთა დაცვის მოძრაობის განვითარებას, როგორც, მაგალითად: ბინების, სკოლების, ბაგების მშენებლობა, ბავშვთა ბანაკების შექმნა, ჯანმრთელობის დაცვა, ბავშვის შრომის ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლა, მავნე ფილმების, ლიტერატურისა და სხვა სახის სამხედრო პროპაგანდის ბოიკოტი, ჯანსაღი ლიტერატურის პროპაგანდა.

4) გააჩაღონ ფართო ახსნაგანმარტებითი მუშაობა, ცხადყონ, რომ ბავშვთა დაცვის საქმე პასუხისმგებლობას აკისრებს მთავრობებს და რომ სახელმწიფომ მნიშვნელოვანი კრედიტები უნდა გაიღოს ბავშვთა საჭიროებისათვის. ამხილონ ის მთავრობები, რომლებიც თავიანთ ბიუჯეტებს ადგენენ როგორც ომის ბიუჯეტებს, და არა მშვიდობის ბიუჯეტებს, ცხადყონ, თუ რა შესაძლებლობანი ეძლევა ბავშვებს მშვიდობის პოლიტიკის განხორციელების პირობებში.

5) გამოარკვიონ, თუ როგორია ბავშვთა მდგომარეობა ყველა ქვეყანაში და, კერძოდ, იმ ქვეყნებში, სადაც ხალხები და მთავრობები უზრუნველყოფენ ბავშვთა კეთილდღეობას — საბჭოთა კავშირში, ჩინეთში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. აღმასკომი სთხოვს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნოს შეისწავლოს და შეაფასოს თვითეული ქვეყნის გამოცდილება ბავშვთა დაცვის საქმეში, ფართოდ გააცნოს ეს გამოცდილება ეროვნულ ორგანიზაციებს და ამით დახმარება გაუწიოს მათ მუშაობაში.

აღმასკომი ურჩევს სამდივნოს შეისწავლოს სხვა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობანი, რომელთა მუშაობაც დაკავშირებულია ბავშვის პრობლემებთან.

## პრეზიდენტის არჩევნების წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში

### „ჩიკაგო ტრიბუნი" პრეზიდენტის არჩევნებისადმი რიგითი ამერიკელების დამოკიდებულების შესახებ

**ნიუ-იორკი**, 24 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ჩიკაგო ტრიბუნმა" გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია, სადაც ნათქვამია, რომ გაზეთის რედაქციაში მიღებულია 1.502 წერილი და დეპეშა, რომლებიც კომენტარს უკეთებენ რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ ყრილობას.

1.347 წერილის ავტორებს, აღნიშნავს გაზეთი, დიდად გაუტეხა გული ყრილობის შედეგმა. 416 კაცმა განაცხადა, ჩვენ ან სულ არ მივცემთ ხმას, ანდა საარჩევნო ბიულეტენებში ეიზენჰაუერს არ მივცემთ ხმას. 319 კაცმა მოითხოვა მესამე პარტიის შექმნა. დანარჩენები იწერებიან, რათა პირდაპირ გამოთქვან თავიანთი გულისწყრომა, აღშფოთება ან იმედგაცრუება, არ აღნიშნავენ, თუ როგორ აპირებენ ხმის მიცემას ნოემბერში. წერილების დიდი უმრავლესობა მიღებულია ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც არარეგულარულად გზავნიან წერილებს რედაქციაში. ეს წერილები მიღებულია მეწარმეებისაგან, სამრეწველო მუშებისაგან, ფერმერებისაგან და ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი რაიონიდან.

ბევრი წერილი მიღებულია ქალებისაგან. ბევრი მათგანი არის დედა, რომელთა ვაჟები არმიაში იმყოფებიან ან მალე იქნებიან გაწვეული არმიაში. წერილების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებშიც ყველაზე მეტად არის გამოთქმული აღშფოთება, მიღებულია ახალგაზრდებისაგან...

რით აიხსნება ხალხის პროტესტის ეს ძლიერი გამოხატულება და ეიზენჰაუერის კანდიდატურისათვის ეს უმნიშვნელო მხარდაჭერა? წერილის მრავალი ავტორი უპასუხებს ამ კითხვას. ისინი ამას იმით ხსნიან, რომ ყრილობამ უღალატა მათ, როცა დაასახელა ისეთი ადამიანის კანდიდატურა, რომელსაც საკმაო საფუძველი არ მოეპოვება, რათა პრეზიდენტის პოსტი დაიკავოს და რომლის შეხედულებანი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე არ განსხვავდება თეთრი სახლის ახლანდელი მობინადრის შეხედულებათაგან.

# კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 25 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ჯარები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 6 და დააზიანეს 5 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ზურგის რაიონების დაბომბვასა და ტყვიამფრქვევის დაშენაში.

## მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების გამოცემა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

**ფხენიანი**, 25 ივლისი. (საკდესი). მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კორეის შრომის პარტიის გამომცემლობამ დიდი ტირაჟებით გამოსცა ვ. ი. ლენინის შრომები „რა ვაკეთოთ?", „მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში", „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", „სახელმწიფო და რევოლუცია", „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები", „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია", ი. ბ. სტალინის ნაშრომები „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ", „მემარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ)-ში", მარქსის ნაშრომი „ხელფასი, ფასი და მოგება", აგრეთვე სხვა ნაწარმოებნი. ამ წიგნებს ფართოდ იყენებენ პოლიტგანათლების ქსელში, აგრეთვე პოლიტიკური განათლების ასამაღლებლად შრომის პარტიის წევრთა დამოუკიდებელ მუშაობაში. ყველა აღნიშნული წიგნი გამოსვლისთანავე იყიდება.

პარტიული ლიტერატურის თარგმნის საქმეში კორეის შრომის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩააბა მთარგმნელთა საუკეთესო კადრები.

## ამერიკელი აგრესორები ჯაშუშობას აიძულებენ სამხედრო ტყვეებს

**პეკინი**, 24 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

ამერიკელმა მზვერავმა—კუნძულ კოჯედოს ჩინელ სამხედრო ტყვეთაგანმა, რომელიც პარაშუტით ჩამოუშვეს ჩრდილოეთ კორეაში და რომელიც ტყვედ დანებდა, გამოააშკარავა ცილისწამება „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის" შესახებ და მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკელები სერიოზულად არღვევენ საერთაშორისო სამართალს — აიძულებენ მათს ხელში მყოფ სამხედრო ტყვეებს მზვერაობა გასწიონ.

ეს ადამიანი სახელად ჯან ვენ-ჟუნი ჩინელი სახალხო მოხალისე იყო. იგი ტყვედ ჩაიგდეს ამერიკელებმა და აიძულეს დაზვერვითი მუშაობა ეწარმოებინა. როგორც კი იგი ჩრდილოეთ კორეაში დაეშვა მიწაზე, მან თქვა ყველაფერი, რაც შეემთხვა. ჯან ვენ-ჟუნი იყო ერთ-ერთი იმ სამხედრო ტყვეთაგანი, რომელნიც დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე ამერიკის მთავარმა დელეგატმა ჰარისონმა მოიხსენია თავის 17 ივლისის წერილში და რომელნიც, როგორც აღნიშნული იყო, ტყვეობიდან „გაიქცნენ". ჰარისონის განცხადებით, იგი „გაიქცა" 23 მარტს.

ნამდვილად კი 19 თებერვალს დაახლოებით დილის 3 საათზე ჯან ვენ-ჟუნი და ჩვენი მხარის 5 სხვა სამხედრო ტყვე, რომლებიც ამერიკელებმა თავიანთ სპეციალურ აგენტებად გაიხადეს, ჩამოშვებულ იქნენ პარაშუტებით ჩრდილოეთ კორეის კოქსანის რაიონში „ს-46" ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავიდან. მიუხედავად იმისა, რომ ჯან ვენ-ჟუნი მოამზადეს ფარულ აგენტად, მას არ სურდა ამერიკელი აგრესორების იარაღი ყოფილიყო. მას მხურვალედ სურდა სამშობლოში დაბრუნება. ჯან ვენ-ჟუნი უკანასკნელი უნდა ჩამომხტარიყო თვითმფრინავიდან და სწორედ ჩამოხტომის წინ გამოაძრო სარჭი ხელყუმბარას, რომელიც მას ამერიკელებმა სხვა სამარ მასალებთან ერთად მისცეს, და ესროლა თვითმფრინავს. თვითმფრინავმა მართვა დაკარგა, ცეცხლი წაეკიდა და შემდეგ დაიმსხვრა. ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერი დევიდ ტეილორ ჰარისონი, რომელიც თვითმფრინავს მართავდა, გადმოხტა და ტყვედ ჩაიგდეს სახალხო ჯარებმა. მან დაადასტურა, რომ თვითმფრინავს მოჰყავდა ჩვენი მხარის სამხედრო ტყვეები, რომლებიც აიძულეს მზვერაობა გაეწიათ, რათა ჩამოესხათ ისინი ჩვენი მხარის ტერიტორიაზე. ჰარისონმა აღნიშნა, რომ როგორც კი სამხედრო ტყვეები გადმოხტნენ კოქსანში, მან გაიგონა თვითმფრინავში აფეთქების ხმა, თვითმფრინავს ცეცხლი წაეკიდა და დაიმსხვრა.

ჯან ვენ-ჟუნმა ილაპარაკა, რომ ამერიკელები აიძულებდნენ ჩვენს სამხედრო ტყვეებს ფარული აგენტები გამხდარიყვნენ. გასული წლის 13 დეკემბერს, განაცხადა ჯან ვენ-ჟუნმა, 72-ე პოლკის მეთაურმა და ჩან კაი-შის აგენტმა ვან შუნ-ცინმა უბრძანა მას და 4 სხვა ტყვე ჩინელ სახალხო მოხალისეს შეკრებილიყვნენ და პოლკის შტაბში მისულიყვნენ. პოლკის შტაბში მისვლის შემდეგ ამერიკელმა ოფიცერმა, რომელმაც ცოტათი იცოდა ჩინური, უბრძანა მათ სატვირთო მანქანაში ჩამსხდარიყვნენ. ამ მანქანამ ისინი პირდაპირ ნავმისადგომში წაიყვანა. ისინი ჩასხეს პუსანს მიმავალ გემში. გზაში ამერიკელმა ოფიცერმა აუკრძალა მათ ერთმანეთთან ლაპარაკი ან მისთვის რაიმე შეკითხვის მიცემა. ისინი იმავე დღეს ჩავიდნენ პუსანში, სადაც ჩაკეტეს სახლში, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა ეკლიანი მავთული და რომელსაც ამერიკელი ჯარისკაცები დარაჯობდნენ.

14 დეკემბერს საღამოს იმავე ამერიკელმა ოფიცერმა გაგზავნა ისინი აეროდრომზე, სადაც ისინი ჩასხეს სატრანსპორტო თვითმფრინავში. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავი მიწაზე დაეშვა, ისინი სხვა ადგილას გადაიყვანეს. მეორე დღეს სხვა ამერიკელმა ოფიცერმა, რომელიც ჩინურად ლაპარაკობდა, ინდივიდუალურად დაჰკითხა თვითეული მათგანი და მათ შეიტყვეს, რომ იმყოფებიან ტოკიოს სპეციალურ აგენტთა ამერიკულ სკოლაში და ემზადებიან საზვერავი მუშაობის შესასრულებლად.

მათ უთხრეს, თუ მზვერაობას არ მოისურვებთ, დაგხოცავთო.

„მომზადების" მთელი კურსის განმავლობაში ჯან ვენ-ჟუნი და სხვა სამხედრო ტყვეები ამერიკელთა სასტიკ მეთვალყურეობაში იყვნენ. მათ ამერიკელები აშინებდნენ. ამერიკელი აგენტები ნებას არ აძლევდნენ მათ სკოლის ფარგლებს გასცილებოდნენ, აწერინებდნენ დღიურებს, რომლებშიც მათ უნდა ჩაეწერათ, თუ რას ფიქრობდნენ და აკეთებდნენ და შემდეგ ეს დღიურები გადაეცათ გასასინჯავად. მათ აიძულებდნენ აგრეთვე ერთმანეთისათვის ეთვალთვალებინათ და ეცნობებინათ თვალთვალის შედეგი.

სანამ მათ ჩრდილოეთ კორეაში გაგზავნიდნენ საჯაშუშოდ, ამერიკელმა აგენტებმა ფიცი დაადებინეს და ხელი მოაწერინეს განცხადებაზე, რომ ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების შტაბის დაზვერვის აგენტები არიან. დავალებათა მიცემის შემდეგ ამერიკელი აგენტები დაემუქრნენ მათ, რომ თუ კორეის ან ჩინეთის ჯარებს ტყვედ დანებდებოდნენ ან შინ დაბრუნდებოდნენ მას შემდეგ, რაც მათ პარაშუტებით ჩრდილოეთ კორეაში ჩაუშვებდნენ, მაშინ ამერიკელები გამოაქვეყნებდნენ შეთხზულ ცნობებს, რომ ტყვედ ჩავარდნის შემდეგ მათ „ღალატი" ჩაიდინეს და „ნებაყოფლობით დათანხმდნენ" ჯაშუშობაზე.

ყოველივე ეს ამხილებს ნამდვილ მოტივებს, რომლებიც საფუძვლად უდევს „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის" ამერიკულ პოზიციას და მათს განზრახვას დააკავონ სამხედრო ტყვეები. ამერიკის მხარის საინფორმაციო სააგენტოები კვლავ წარამარა იმეორებენ სიცრუეს, რომ 15 ათასი ჩინელი სამხედრო ტყვე „უარს ამბობს" რეპატრიაციაზე: ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკელებს სურთ დააკავონ მრავალი ჩინელი სამხედრო ტყვე და გამოიყენონ საზარბაზნე ხორცად ომის გაფართოებისათვის. კორეელი და ჩინელი ხალხები ვერასგზით ვერ შეურიგდებიან ამერიკელების მიერ საერთაშორისო სამართლისა და ჰუმანიურობის პრინციპების ასეთ სერიოზულ დანაშაულებრივ დარღვევას.

## მონათვაჭრობა იაპონიაში

**ტოკიო**, 25 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ნიპონ კეიძაი" იუწყება, რომ ტოხოკუს რაიონში გაძლიერდა მონათვაჭრობა. ქალაქ სენდაის პოლიციის ცნობით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში იყო მონათვაჭრობის 6.649 შემთხვევა. ამ ხნის განმავლობაში სულ გაიყიდა 7.653 კაცი, აქედან 1.456 უწლოვანი.

## დღეს, 27 ივლისს

დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სტადიონებსა და [illegible] მრავალფეროვანი, საინტერესო ასპარეზობანი. გაიმართება [illegible] და საკავშირო შეხვედრები ფეხბურთში, კალათბურთში, ცურვაში.

**ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე** დილის 10 საათიდან დაიწყება მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების გადამწყვეტი შეხვედრები თბილისის საოლქო პირველობისათვის. ამავე სტადიონზე მოეწყობა ფინალური შეჯიბრება ფეხბურთში თბილისის ოლქის თასზე წითელწყაროს რაიონის „ნეფტიანიკისა" და ხაშურის „ლოკომოტივის" სპორტსმენთა კოლექტივებს შორის. საღამოს 6 საათზე საფეხბურთო მოედანზე გამოვლენ „ბ" კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და კიშინიოვის „ბურევესტნიკის" სპორტსმენთა კოლექტივები.

**თბილისის ფიზკულტურის პარკის წყალჯომარდობის აუზში** მოეწყობა საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება ცურვაში. დასაწყისი 11 საათზე.

**კიროვის სახელობის პარკში** თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის კალათბურთის სტადიონზე დილის 10 საათზე დაიწყება მორიგი შეხვედრები კალათბურთში საქართველოს 1952 წლის პირველობაზე, შემდგომი მორიგი შეხვედრები დაიწყება იქვე საღამოს 6 საათზე.

## ლისის ტბაზე

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის საორგანიზაციო კომიტეტის ინიციატივით დღეს ლისის ტბაზე გაიმართება დიდი ფიზკულტურული დღესასწაული, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნისადმი.

დღესასწაული დაიწყება მცურავთა და ნიჩბოსანთა საქალაქო პირველობისათვის შეჯიბრებით. მცურავები ერთმანეთს შეეჯიბრებიან ას მეტრზე გაცურვაში, ხოლო ნიჩბოსნები—ნავების უსწრაფესად წაყვანაში, ბაგირის გაჭიმვაზე გადაძალვაში და ა. შ.

აქვე გაიმართება საზღვაო და სამდინარო ხომალდთა მოდელების დემონსტრაცია. დღესასწაული დამთავრდება მასობრივი გაცურვით და ტბაზე ნავებით მასობრივი სეირნობის მოწყობით.

## რუსთაველის თეატრის კოლექტივი სტალინირში

**სტალინირი**. (საკ. კორ.). რამდენიმე დღეს იყო აქ გასტროლებზე ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი, რომელმაც კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში წარმოადგინა უ. შექსპირის „ოტელო" და ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი".

## მაღაროელთა დასვენება

**ჭიათურა**. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები მორიგეობით მიემგზავრებიან დასასვენებლად ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე. წელს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში დაისვენებს ექვსასზე მეტი მაღაროელი.

მარტო მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის ქალქომმა წელს მაღაროელებისათვის 370.000 მანეთის საგზურები შეიძინა.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — სტალინური ავიაციის დღესასწაული.

მეორე მოწინავე — საბჭოთა ხალხის დიადი ქმნილება.

ბრძანება სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა.

მეორე გვერდი — პ. ჟიგარევი — სოციალიზმის ქვეყნის მძლავრი ავიაცია.

ბ. ბორისოვი — დიდი სამდინარო გზა.

მესამე გვერდი — საერთო სათაურით „მშვიდობიანი შრომის დიდი გამარჯვება" წერილები: ნ. მუსხელიშვილი — მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამეგობრობა. ი. მუხაძე — თანამემამულე ციმლიანსკის ზღვიდან. ა. ბელიაშვილი — საბჭოთა ხალხის ბედნიერება. პ. სვანიძე — შთამაგონებელი მაგალითი. ი. აბაშიძე — ოცნება ასრულდა. ვ. ჟურული — ვოლგა-დონი (ლექსები).

მეოთხე გვერდი — დღიური — ს. ღერბინი— კოლუმბიასა და მისურზე. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა. ნატურალისტის ჩანაწერები.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

## საქართველოს რადიოინფორმაციის გადაცემათა პროგრამა

### 28 ივლისს

**რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:** 06.25 — ვარჯიში; 07.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმფონიური ნაწარმოებები; 09.20 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები; 11.10 — კამერული მუსიკის კონცერტი; 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ნიშნიანიძის მოთხრობა „პიონერი მინდა გავხდე"; 18.15 — ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.20 — პოპულარული მუსიკის კონცერტი.

**რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:** 20.30 — ქალაქის ქსელით — კონცერტი შოპენის ნაწარმოებებიდან, რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. საუბარი „როგორ იბრძვიან ჩაის საბჭოთა მეურნეობები ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებისათვის"; 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 21.00 — საუბარი ციკლიდან—მსოფლიოს რუკასთან—„მექსიკა"; 21.20 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი; 22.45 — ლიტერატურული გადაცემა. საუბარი: „საკოლმეურნეო ცხოვრება ქართულ საბჭოთა პროზაში"; 23.05 — კონცერტი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ელისაბედ გოსტენინას და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის იური ცხომელიძის მონაწილეობით; 00.05 — პოპულარულ სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

---

ძმა ვარლამ, და ალვასი დევიძეები, დისწულები ილია კაპანაძე, ტატიანა, თამარ და ზ. გაფრინდაშვილები იუწყებიან **გიორგი სპირიდონის-ძე დევიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-VII ჭიათურაში.

მეუღლე ელისაბედ კერესელიძე, და ელენე გლურჯიძე, დისწული ნოდარ, ძმისწულები ვახტანგ და ლეილა, ცოლისდა ნინო ოჯახებით იუწყებიან **ვახტანგ მათეს-ძე კერესელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-VII, 8 ს. გამოსვენება 29-VII, 6 ს. გაბაშვილის, 14.

ძმისწულები თამარ და ნინო, სიძე პლატონ ლეჟავა შვილებით გუგული და ნენე იუწყებიან **პასიკო გრიგოლის ასულ აბაშიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-VII, 8 ს. გამოსვენება 29-VII, 6 ს. წილკანის, 3-ა.

შვილი ირაკლი, რძალი ნატა, შვილიშვილები მიხეილ, მაყვალა, მორიან ქრისტინაშვილები იუწყებიან **ელისაბედ ვასილის ასულ-ქრისტინაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-VII, 8 ს. გამოსვენება 29-VII, 6 ს. ფიროსმანის, 33.

შვილი თამარ გომელაური, მულისშვილი ეკატერინე ნასიძე იუწყებიან **ნადეჟდა გომელაურის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-VII, 8 ს. დაკრძალვა 29-VII 6 ს. მსროლელთა, 2.

დები ვარო, ნინო, დომნა ვარდიაშვილები, დისწული ნათელა მირიანაშვილი იუწყებიან **ნადეჟდა გომელაურის** გარდაცვალებას.

მეუღლე სიმონ, შვილები ანა, მაყვალა მირიანაშვილები შვილებით, სიძე ილია ჩხარტიშვილი იუწყებიან **სოფიო სიმონის ასულ მირიანაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-VII, 8 ს. გამოსვენება 29-VII, 6 ს. ხეთაგუროვის, 25.

შვილები ირაკლი, მარიამ, ლიუდმილა, რძალი ზინა, შვილიშვილები ნანული, იური, ეთერ ქაჩიბაიები იუწყებიან **მატრონა გრიგოლის ასულ თურქია-ქაჩიბაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-VII, 8 ს. დაკრძალვა 29-VII, 6 ს. გრიბოედოვის, 12.

მეუღლე ეკატერინე, შვილი გიორგი, ძმები დავით, გრიგოლ, რძლები ეკატერინე, მარიამ, ნინო, ძმისწულები ვერა, ნოდარ, ლიანა, დავით, ლამარა, შვილიშვილი ნანა მეტონიძეები იუწყებიან **მიხეილ დავითის-ძე მეტონიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-VII, 8 ს. გამოსვენება 29-VII, 6 ს. ძრავის 1 შესახ. 23.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივანი — 3-08-67, ხამდივანი — 3-06-88, განყოფილებანი: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02843